# ახალი განათლება

21-27.06.2018

№22 (816) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




ხარისხის განვითარების ცენტრი

# პირველი შედეგები ახალი სისტემის ამოქმედებიდან

ანა ფირცხალაიშვილი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის პროცესი განახლდა, რომელიც, მიმდინარე წლიდან, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად წარიმართება. ძველისგან განსხვავებით, ახალი სტანდარტები უფრო სრულყოფილად, კომპლექსურად და სიღრმისეულად შეაფასებს სასწავლო დაწესებულებებს. შესაბამისად, ახლებური წესით დაკომპლექტდა ექსპერტთა ჯგუფებიც, რომელთაც გამოცდილი, კომპეტენტური საერთაშორისო ექსპერტები ხელმძღვანელობენ. მათი შერჩევისათვის მუშაობა რამდენიმე თვით ადრე დაიწყო ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და წარმატებითაც დასრულდა. კვალიფიციური ექსპერტები მთელი წლის განმავლობაში დაკავებულები არიან, ამიტომაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და სასიხარულოც, როდესაც ექსპერტთა შორის აღმოჩნდა **გი ჰაკი**, საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ბოლონიის პროცესის თანაავტორი. იგი თავისუფალ უნივერსიტეტშია მივლინებული. გარდა იმისა, რომ ასეთი რანგის ექსპერტთა ჩართვა ავტორიზაციის პროცესში სასწავლო დაწესებულებებში ხარისხის განვითარების აუცილებელი პირობაა, იგი სისტემისადმი მაღალი ნდობისა და ლეგიტიმაციისთვისაც საჭიროა.

ცალკე აღსანიშნავია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტთან მიმართებით საერთოდ სხვა პროცესები მიმდინარეობს. ჩვენ ამის შესახებ ადრეც ვისაუბრეთ – გარდა იმისა, რომ ახლა აქაც გეგმიური საავტორიზაციო პროცესია, რომელშიც ორი საერთაშორისო ექსპერტია ჩართული, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მისიაც მთელ ამ პროცესს დააკვირდება, რათა კომპლექსურად შეაფასოს თავად ხარისხის განვითარების ცენტრი ერთი საავტორიზაციო პროცედურის ფარგლებში. მართალია იგი თავად არ ახდენს საერთაშორისო აკრედიტაციას, მაგრამ ამტკიცებს და აღიარებს საამისოდ უფლებამოსილ სააგენტოებს, რომლებიც შემდეგ მიანიჭებენ (ან არ მიანიჭებენ) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა თუ სკოლებს საერთაშორისო აკრედიტაციას. რაკი ხარისხის განვითარების ცენტრიც მაკრედიტებლის სტატუსის მაძიებელია, ისიც დაკვირვების ქვეშ იმყოფება და მის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასებას უკვე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მისიისგან მოელის. ეს, რაც სამედიცინო მიმართულებას შეეხება.

ზოგადად, ახალი სტანდარტითა და პროცედურებით ავტორიზაციის პროცესი თებერვლის ბოლოდან დაიწყო განაცხადების მიღებით. როცა სათაურში სიტყვა „შედეგები“ გამოვიტანე, საბოლოო შედეგი კი არ ვიგულისხმე – მიიღებს თუ არა ესა თუ ის უნივერსიტეტი ლიცენზიას, არამედ ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც რეფორმის შედეგია და რამაც განათლების ხარისხი უნდა უზრუნველყოს სასწავლო დაწესებულებაში. ამ სისტემის რეფორმირების ერთ-ერთ ეფექტურ შედეგად ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორი **თამარ სანიკიძე** უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი პროგრამების რაოდენობრივ შემცირებას ასახელებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ რადიკალურად შეცვლილია მიდგომები, კერძოდ, ჩანს, რომ სასწავლო დაწესებულებებმა ბევრი დრო დაუთმეს თვითშეფასებებს, სწორედ შიდაშეფასების მექანიზმების სწორად გამოყენება ეტყობა განაცხადებს. ჯერჯერობით, დაახლოებით, 15 სასწავლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განცხადებების მიხედვით 100 პროგრამაა შემცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს მისი განხორციელების საშუალება. თვითშეფასებაში დასაბუთებულია რომელი პროგრამები არ წარმოადგინეს და რატომ. ბუნებრივია, მათ ნაცვლად, სასწავლებელი გარკვეულ მიმართულებებზე აკეთებს კონცენტრაციას და ყველა რესურსს – აკადემიურს, ტექნიკურს, ფინანსურს... – სწორედ ამ მიმართულებების განვითარებისთვის მიმართავს.

საბოლოო შედეგზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია, ეს მონაცემები მხოლოდ აგვისტოს ბოლოსთვის გახდება ცნობილი, მაგრამ პროცესის მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ ვიზიტებმა აკადემიურ დონეზე ჩაიარა და აბსოლუტურად განსხვავებული ეფექტი აქვს, რადგან შემმოწმებლები სულ სხვა რამეს უყურებენ და ანიჭებენ მნიშვნელობას, ვიდრე აქამდე. რეალურად მოწმდება ფაქტები, რომლის შესახებაც სასწავლო დაწესებულება ხარისხის განვითარების ცენტრს აწვდის დოკუმენტაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს უკავშირდება სწავლების შინაარსს და საუნივერსიტეტო საქმიანობის სპეციფიკას. ვფიქრობთ, ვიზიტებიდან მოწოდებული ინფორმაცია ძალიან საინტერესო იქნება იმიტომაც, რომ ინტერვიუები საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან (სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან, მმართველ საბჭოებთან, აკადემიურ პერსონალთან) და მათი მოსაზრებები სტანდარტების, პროგრამების, მართვის, აკადემიური პერსონალისა თუ სხვა საკითხების შესახებ, კვალიფიციური ექსპერტებისთვის სწორი დასკვნებისა და, რაც მთავარია, ღირებული რეკომენდაციების საფუძველი იქნება. მით უმეტეს, რომ აქამდე მკაფიო და კონკრეტული გზავნილები, რეკომენდაციები ცენტრისგან სასწავლო დაწესებულებებს არ ჰქონიათ. ავტორიზაციის ახალი სისტემა არ არის ორიენტირებული ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულების დახურვაზე, პირიქით, შეფასების ოთხდონიანი სისტემა (იგულისხმება რამდენად შესაბამისია საგანმანათლებლო დაწესებულება ინსტიტუციური შეფასების სტანდარტთან) – *სრულად, მეტწილად, ნაწილობრივ, არ არის შესაბამისობაში* – საშუალებას იძლევა, მინიმუმ, ერთ წელიწადში, გამოასწოროს დაწესებულებამ აღმოჩენილი ხარვეზი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აშკარად ფიქსირდება რომელიმე სტანდარტის უხეში დარღვევა, მაგალითად აკადემიურ პერსონალსა და პროგრამულ ნაწილში. აქ ნაკლებად ლოიალურები იქნება ცენტრი. როცა სტანდარტი დარღვეულია, დაწესებულება ვერ იღებს ავტორიზაციას.

დაბოლოს, საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის, მიმდინარე ავტორიზაციის პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი  არის ქართველი ექსპერტებისა და საერთაშორისო ექსპერტების თანამშრომლობა, ის გამოცდილება, რასაც მიიღებენ მთელი ამ პროცესის განმავლობაში მაღალი რანგის პროფესიონალებთან საქმიანი ურთიერთობით. მათ უნდა დაინახონ, რომ ამბიცია, საქართველოს წარმომადგენელიც იყოს საერთაშორისო დონის ექსპერტი, არ არის საფუძველს თუ რეალობას მოკლებული, უცხოელებიც ასე ავითარებენ თავიანთ ექსპერტთა კორპუსს. უნდა დარწმუნდნენ, რომ პროცესის გამჭვირვალობა და ინტერნაციონალიზაცია ჩვენთვისაც ისეთივე ღირებულია და მისაღები, როგორც მათთვის.

ინფორმაცია

# კომიქსებისა და ვიდეოთამაშების ფესტივალი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

მაკა ყიფიანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოში ამერიკის საელჩოსა და შემოქმედებითი გაერთიანების „პარსეკ 1“ ხელშეწყობით, საქართველომ პირველად უმასპინძლა კომიქსებისა და ვიდეოთამაშების ფესტივალს, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა და რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა – კომიქსების გამოფენა, საგანმანათლებლო პრეზენტაციები, კოსტუმირებული სანახაობა, თეატრალური მაკიაჟის ხელოვნება, სხვადასხვა ეროვნების ხელოვნების, მათ შორის, ამერიკელი მხატვრის, **დევიდ კამის** ნამუშევრები. ფესტივალმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ დამთვალიერებელზე, ვის ინტერესის სფეროშიც კომიქსები, მანგა, სამაგიდო თუ ვიდეოთამაშები და ქოსფლეი შედის. ერთ სივრცეში გაცოცხლებული მარველისა და დისის გმირები, ვიზუალური პოეზია, სიტყვისა და გამოსახულების ბალანსი, სხვადასხვა ეროვნების მხატვრების მიერ შექმნილი კომიქსები საოცარ სანახაობას ქმნიდა.

კომიქსებისა და ვიდეოთამაშების ფესტივალი მომავალშიც ჩატარდება და ბიბლიოთეკის ერთგვარ ტრადიციად იქცევა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშემ, **დამიან ვამპლერმა** ეროვნულ ბიბლიოთეკას ძვირადღირებული ისტორიული კომიქსების გამოცემები და ნახატები გადასცა საჩუქრად.

კომიქსი ერთ-ერთი ყველზე წარმატებული და ცნობილი ლიტერატურული ფორმაა, რომლის დაბადების ადგილადაც ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება. მსოფლიოში კომიქსების მწარმოებელი ორი წამყვანი კომპანიაა – M და D, რომლებიც ერთმანეთს სერიოზულ კონკურენციას უწევენ. თავდაპირველად, ვიზუალური ხელოვნების ეს მიმართულება კარიკატურების ილუსტრირებისთვის გამოიყენებოდა, სასაცილო და ტრივიალური ისტორიებით, თუმცა, მოგვიანებით ის განვითარდა და ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბდა. დღეს უკვე მარტივად შეხვდებით ინგლისურ და სხვა უცხოენოვან კომიქსებს. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებისა და მოთხოვნის მიუხედავად, ქართული კომიქსების დეფიციტი ჯერ კიდევ გვაქვს, თუმცა კომიქსები ნელ-ნელა საქართველოშიც პოპულარული ხდება.

კომიქსებისა და ვიდეოთამაშების ფესტივალის ტრადიციად დამკვიდრება საქართველოში კომიქსების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, რაც სხვადასხვა ასაკის მკითხველისა და შემოქმედისთვის სახალისო სტიმულიც იქნება.

**მაია სიმონიშვილი**, ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი: „*კომიქსები ისევე იყო აკრძალული საბჭოთა კავშირში, როგორც ჯინსები, როკ-მუსიკა და საღეჭი რეზინა, რადგან ზედაპირულ ჟანრად ითვლებოდა. კომიქსებს სერიოზული შინაარსი აქვს, თუმცა, სახალისო ფორმის გამო, ხშირად აკრიტიკებდნენ. სინამდვილეში, კომიქსებს საკუთარი გამომსახველობითი ენა აქვს, რომელიც მისი მოყვარულებისთვის ცნობილია. ჩვენს დარბაზში რამდენჯერმე მკითხეს სტუდენტებმა და მოსწავლეებმა, თუ გვქონდა კომიქსები და შესაბამისი ლიტერატურა. იმდენად ხშირად, რომ მივხვდი, მოთხოვნა დიდია ჩვენს საზოგადოებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშესთან, ბატონ* ***დამიან ვამპლერთან*** *საუბრისას გაირკვა, რომ საელჩო ხელს უწყობს ახალგაზრდა ხელოვანების ამ მიმართულებით განათლებას და პირველი ფესტივალის ჩატარებაც დავგეგმეთ. ფესტივალი არტისტთა ახალი გაერთიანების „პარსეკ 1“ მონაწილეობით გაიმართა. წარმოდგენილი იყო პირველი ვიდეოთამაშებიც, ე.წ. რეტროთამაშები, რომლითაც კომპიუტერი და ვირტუალური გმირები გავიცანით. უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისურენოვანი კომიქსები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ეს არც ისე ადვილად ხელმისაწვდომი ჟანრია და ჩვენთან მათი რუსული ვარიანტია გავრცელებული მაშინ, როდესაც ქართველი ხელოვანები ძალიან საინტერესო ნამუშევრებს ქმნიან. ასეთი ფესტივალი ხელს შეუწყობს იმასაც, რომ ქართული პროდუქტი შეიქმნას. მოხარულები ვართ, პირველად, მრავალ ახალგაზრდა ხელოვანსა და მოყვარულს ერთად მიეცა საშუალება, წარმოედგინათ საკუთარი ნამუშევრები, კოსტუმირებული სანახაობა და ამდენი გახარებული სტუმარი გვყავდა.*“

როგორც აღვნიშნეთ, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მარველის კომიქსების ცნობილი ავტორისა და ილუსტრატორის, **დევიდ კამის** ნამუშევრებიც. ავტორი საკუთარ ნამუშევრებს ასე ახასიათებს: „*ფსიქოლოგიური რამ ხდება ამ დროს. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესოა. როდესაც კომიქსს ვქმნი, არც კი ვფიქრობ, რომ მე ნამდვილ ხელოვნებას ვქმნი. ვთვლი, რომ ნამდვილი ხელოვნება სწორედ მკითხველის ტვინში იწყება, როდესაც ისინი კომიქსს კითხულობენ და თავიანთ გონებაში, თავიანთ წარმოსახვაში ასრულებენ იმ ვიზუალს, რასაც ფურცლებზე ხედავენ. ამ პროცესში მათი წარმოსახვაა ჩართული. სწორედ ასე ვქმნი ჩემს ტექსტებსა და ნახატებს, რომ მაქსიმალურად ჩაერთოს მკითხველის წარმოსახვა. კომიქსის კითხვას რომ დაასრულებენ, წიგნმა მათ გონებაში უნდა გააგრძელოს ცხოვრება.*“

**ვაგზომ ჰანოფი**, გაერთიანების „პარსეკ 1“ წარმომადგენელი და ფესტივალის ორგანიზატორი: „*მე ძალიან ბევრ ნიჭიერ ქართველ არტისტს შევხვდი, მათი უმეტესობა აქ არის, ამ ფესტივალის ორგანიზება სწორედ ასეთი ხელოვანების დახმარებას ემსახურება, რათა საზოგადოებას საკუთარი ნამუშევრები გააცნონ.*“

**დემიენ ვამპლერი**, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე: „*კომიქსები ამერიკული ხელოვნების ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომაც, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთვის ამ ფესტივალის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, მსგავსი ღონისძიებები მომავალში უფრო ხშირად გაიმართება და ქართველ ხელოვანებსაც მეტი შესაძლებლობები მიეცემათ.*“

**დაჩი სვანიძე**, კომიქსების მხატვარი, ფესტივალის მონაწილე: „*ფესტივალში პირველად ვმონაწილეობ, მსგავსი ფესტივალები საზღვარგარეთ ხშირად ტარდება, მეც ბავშვობიდან ოცნებად მქონდა, კომიქსების ფესტივალში მიმეღო მონაწილეობა და როგორც კომიქსების მხატვარი წარვმდგარიყავი. მიხარია, რომ დღეს აქ ვარ.*“

კომიქსების ფესტივალი მოიცავდა შეხვედრებს ადგილობრივ მხატვრებთან და ავტორებთან, მონაწილეთა პრეზენტაციებსა და ლექციებს, დამთვალიერებელმა რამდენიმე ქვეყნის არტისტიც გაიცნო. აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, კომიქსებისა და ვიდეოთამაშების ფესტივალი ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მომავალში, უფრო მეტი ქართული ნიმუშებით გაიმართება.








**მანდატურის სამსახური**

# უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო
## გადაუდებელ და კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქცია

ლალი თვალაბეიშვილი

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო“. აღნიშნული სახელმძღვანელო სკოლაში დარღვევათა და სხვადასხვა გადაუდებელ, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციას წარმოადგენს, მისი მიზანია შესაბამისი დროული და ეფექტური რეაგირება და უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

„უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში“ მოცემულია, სხვადასხვა სახის კრიზისული სიტუაციების დროს, სკოლის დირექტორებისათვის და მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის მოქმედების პროცედურები და რეკომენდაციები – რომელ სახელმწიფო სტრუქტურებს უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციის ძალებით ვერ ხერხდება პრობლემის მოგვარება ან/და სცდება მათ კომპეტენციას.

სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუციების ჩართულობა და მათ შორის სწორი კოორდინაცია ხელს შეუწყობს პრობლემით გამოწვეული ზიანის შემცირებას. „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში“ სიტუაციები დონეებადაა დაყოფილი, საფრთხის, ხარისხისა და მათზე რეაგირების მიხედვით. საფრთხის დონეებად დაყოფა უზრუნველყოფს შექმნილ ვითარებაში ორიენტაციას, სწრაფ რეაგირებასა და გასატარებელ ღონისძიებათა ეფექტურ დაგეგმვას.

**საფრთხის სამი დონეა გამოყოფილი:**

**საფრთხის I დონე** – საფრთხის მაღალი დონე, რომელზე რეაგირებისთვისაც აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად სამართალდამცავი ან/და სხვა სახელმწიფო ინსტიტუციების ჩართვა.

**საფრთხის II დონე** – საფრთხის საშუალო დონე, რომელზე რეაგირებისთვისაც აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა სტრუქტურული ერთეულების ჩართვა.

**საფრთხის III დონე** – საფრთხის დაბალი დონე, რომელზეც რეაგირებს სკოლის ადმინისტრაცია.

სამივე დონეზე განხილულია ყველა შესაძლო საფრთხე, რომელსაც ახლავს ერთგვარი ინსტრუქცია, როგორი უნდა იყოს პირველი რეაქცია და შემდგომი ღონისძიებები, რაც სკოლის დირექციას და პედაგოგებს სწორი გადაწყვეტილების მიღებასა და ადეკვატური ზომების გატარებაში დაეხმარება.

სახელმძღვანელოში მოცემულია, ასევე, ტერმინთა განმარტება, მაგალითად: კიბერბულინგი, ეპიდემიური აფეთქება, ვანდალიზმი, პირადი გასინჯვა, საგანგებო შტაბი და სხვ. დეტალურადაა განხილული, თუ რა მიიჩნევა ძალადობად.

**ძალადობად მიიჩნევა:**

**ფიზიკური ძალადობა** – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

**ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის ნებისმიერი პირისგან ბავშვზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც იწვევს ბავშვის ძლიერ ემოციურ სტრესს, პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას.

**სექსუალური ძალადობა** – ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე, სრულწლოვანის მიერ, წინასწარი შეცნობით, 16 წლამდე ბავშვთან ძალადობის გარეშე სქესობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან/და გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ.

**უგულებელყოფა** – მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწევდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

**ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

შეუძლებელია, „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში“ სკოლებში კრიზისული სიტუაციების ყველა შემთხვევა აისახოს, შესაბამისად, ინსტრუქციები წარმოადგენს სხვადასხვა სიტუაციებისას, პირველადი მოქმედებების ძირითად პრინციპებს.

უსაფრთხო სკოლის შექმნა ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესია. ალბათ, ძნელია გარკვეულ ეტაპზე ითქვას, რომ უსაფრთხო სასკოლო გარემო შეიქმნა და პროცესი დასრულებულია. სკოლა მუდმივად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთათვის ისეთი სასკოლო გარემოს შექმნაზე, რომელიც არ იქნება ტოლერანტული ბულინგის ან ფიზიკური დაპირისპირების მიმართ, ამავე დროს, სკოლამ უნდა შეძლოს ბავშვთა შრომის, ადრეული ქორწინების, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საჭიროებების მიმართ თემის დამოკიდებულების შეცვლა, მისი ცნობიერების ამაღლება. ამაში სასწავლო დაწესებულებებს ბევრად დაეხმარება „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო“, რომელიც ძალადობისაგან თავისუფალი სასკოლო გარემოს განვითარებასა და თითოეული ბავშვის უსაფრთხოების დაცვას მოემსახურება.

**ინფორმაცია**

# საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“

ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის დირექტორთან, **კრისტინა რუსოსთან** ორმხრივი შეხვედრა გამართა. საუბარი შეეხო „ჰორიზონტი 2020“ პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში, საქართველოს კვლევისა და ინოვაციის სისტემის მოდერნიზებისთვის განხორციელებული საექსპერტო სამუშაოს შეჯამებასა და საქართველოსათვის შემუშავებული რეკომენდაციების გაზიარებას.

აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ევროკომისიის ექსპერტულ-პოლიტიკურ მხარდაჭერას სამ თემატურ მიმართულებაზე:

• პერსპექტიული კვლევითი დარგების იდენტიფიცირებაში დახმარება;
• კვლევასა და ინდუსტრიას/ბიზნეს შორის კავშირების გამყარება;
• კვლევითი ერთეულებისთვის შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების სქემის შეთავაზება.

მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს „ჰორიზონტ 2020“ პროგრამაში ქართველი მეცნიერების უფრო მეტად ჩართვის შესაძლებლობებსა და მექანიზმებზე.

სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ევროკომისიის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან მიხეილ ჩხენკელის შეხვედრების პარალელურად, მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველოს ევროპული გზა“, ერთ-ერთ მომხსენებლად წარდგა.

თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდული საკითხები საქართველოს ევროპული გზის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასევე, ისაუბრა სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებზე და ხაზი გაუსვა საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას.

საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“ წელს მეთხუთმეტედ ტარდება და მასში მონაწილეობენ საქართველოს, ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტარები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, მედიისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, მიხეილ ჩხენკელი, ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების დირექტორატის გენერალურ დირექტორს, **კრისტიან დანიელსონს**, ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის დირექტორს, **კრისტინა რუსოს**, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის დირექტორს, **ლორენს მერედიტსა** და ევროკავშირის ელჩს საქართველოში, **იანოშ ჰერმანს** შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო როგორც სკოლამდელი განათლების, ასევე, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების საკითხებს. ყურადღება გამახვილდა განათლების ყველა საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობასა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილ და მიმდინარე სიახლეებზე. მათ შორის, პროფესიული კოლეჯების უმაღლესი განათლების ბაზაზე დაფუძნების საკითხზე, პროფესიული განათლების სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებზე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში აგრარული კოლეჯის განვითარების საკითხზე და ახალ კანონპროექტზე, რომელიც პროფესიულ განათლებაში არსებულ ბარიერებს დაარეგულირებს.

შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს ევროკომისიის რეგიონული მნიშვნელობის ინიციატივებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საქართველოში ევროპული სკოლის გახსნის პროექტი. აღნიშნულ სკოლაში, ქართველ მოზარდებთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოსწავლეებიც შეძლებენ სწავლას. ამ ეტაპზე, აქტიურად მიმდინარეობს პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები და სკოლა ფუნქციონირებას მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყებს.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ევროკომისიისთვის განათლების სფერო პრიორიტეტულია. შესაბამისად, მათი თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კვლავ აქტიურად გაგრძელდება.

ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში გაიმართა, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, მიხეილ ჩხენკელის გაცნობითი შეხვედრა ირლანდიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის წევრთან, **ჯერარდ ქროუქუელთან**, და საერთაშორისო და ევროპულ ურთიერთობათა ინსტიტუტის (IIEA) ხელმძღვანელთან, **რორი ქუინთან**.

მხარეებმა ვრცლად განიხილეს ორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები. საუბარი შეეხო სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის გაცვლითი პროგრამების შემუშავებას როგორც უმაღლესი, ასევე, პროფესიული განათლების მიმართულებით. ირლანდიურმა მხარემ პოზიტიურად შეაფასა საქართველოსა და ირლანდიას შორის აკადემიური ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობა და მომავალი თანამშრომლობის მზაობა გამოხატა.









## მასწავლებლის ეროვნული ჯილდო




ლალი ჯელაძე

15 ივნისს „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" საუკეთესო ათეული გახდა ცნობილი. კონკურსი, გასულ წელს, კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო" და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" ორგანიზებით, პირველად ჩატარდა და ამით ჩვენი ქვეყანა გლობალურ კამპანიას შეუერთდა, რომლის მიზანი, პროფესიის პოპულარიზებისა და პრესტიჟის ზრდის გარდა, წარმატებული მასწავლებლების გამოვლენა და საზოგადოებისთვის გაცნობაა.

*„საუკეთესო ათეული საინტერესოდ დაბალანსდა როგორც საგნების მიხედვით, ისე რეგიონულ ჭრილში. ორი მასწავლებელი გვყავს თბილისიდან და დანარჩენი 8 – რეგიონიდან. საგნებიც მრავალფეროვანია – ქართული, მათემატიკა, სამოქალაქო განათლება, დაწყებითები, ინგლისური და ქიმია, ერთ-ერთი კლასკომპლექტის მასწავლებელია. თუმცა, ეს ავტომატურად მოხდა, რადგან ჟიური ამას ნაკლებად ითვალისწინებს." – გვითხრა ჯილდოს პროექტის კოორდინატორმა,* **გიორგი ჭანტურიამ.**

ხუთი კრიტერიუმიდან, რომელსაც კონკურსში მონაწილე მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს, ხუთივე თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირველესი, რასაც ჟიური ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შედეგების დინამიკაა – რამდენად აუმჯობესებს კონკრეტული მასწავლებელი მოსწავლეების სწავლის შედეგებს. *„წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი აქტიური ან საინტერესოც უნდა იყოს აპლიკანტი, სავარაუდოდ, საუკეთესო ათეულში ან ხუთეულში ვერ მოხვდება. ვფიქრობთ, მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა სწორედ მოსწავლის სწავლის შედეგების დინამიკის გაუმჯობესებაა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებასაც – რამდენად უწყობს ის ხელს არა მხოლოდ საგნის, არამედ, ზოგადად, მასწავლებლის პროფესიის განვითარებას." – ამბობს პროექტის კოორდინატორი.*

წლევანდელი კონკურსისთვის განაცხადი 104-მა აპლიკანტმა შეავსო. მათგან ათი საუკეთესო ჟიურიმ უკვე გამოავლინა და ახლა კონკურსის შემდეგი ეტაპი ფინალისტების დასახელებაა, რომელიც ორგანიზატორებმა 1 სექტემბრისთვის დააანონსეს. ფინალისტების გამოსავლენად, ჟიურის წევრები, უკვე შერჩეულ ნახევარფინალისტებთან, გასაუბრებას ჩაატარებენ, თუმცა, როგორც კოალიციაში გვითხრეს, მხოლოდ გასაუბრებით არ შემოიფარგლებიან, ჟიური, მთლიანობაში, კიდევ ერთხელ განიხილავს თითოეული მასწავლებლის მონაცემებს. იგეგმება ადგილზე „გადამოწმება" – რეკომენდატორებთან გასაუბრება, შეხვედრები სკოლის წარმომადგენლებთან – დირექტორებთან, კოლეგებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან. ამით ერთიანი სურათი შეიქმნება, რაც ჟიურის საბოლოო შეფასებაში დაეხმარება.

ჯილდო სტიმულს აძლევს მასწავლებლებს უფრო მეტი აკეთონ თავიანთ პროფესიაში, გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან და, რაც მთავარია, ეს შეუმჩნეველი არ რჩება – ასე ფიქრობენ ნახევარფინალისტები – **ლელა კოტორაშვილი**, **ნინო ჭიჭინაძე** და **ჯაბა ლაბაძე**. ჩვენთან ჩაწერილ ინტერვიუებში ისინი საუბრობენ ჯილდოს მნიშვნელობასა და ემოციაზე, რაც მათ კონკურსის საუკეთესო ათეულში მოხვედრისას განიცადეს.

**ნინო ჭიჭინაძე**, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის (ქართული, მათემატიკა, ბუნება) მასწავლებელი: *„ჩემი პრაქტიკა მაძლევდა გამბედაობას, რომ ასეთი მაშტაბის კონკურსის არ შემშინებოდა. ამავდროულად, გამოვირჩევი დამოუკიდებლობით და ბრძოლისუნარიანობით, ამიტომ ჩავთვალე, რომ კონკურენტუნარიანი მონაწილე ვიქნებოდი და იმედიც გამიმართლდა.*

*პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის" მონაწილეობა, პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, დიდი ნაბიჯი იყო. 2010-2012 წელს გავიარე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები და მაგისტრატურაშიც ჩავაბარე, ამ პროგრამის წყალობით უფასოდ ვისწავლე. სწავლის პარალელურად, ვმუშაობდი თბილისის №99 საჯარო სკოლაში და სერვანტესის სახელობის სკოლა-გიმნაზიაში (AIA-GESS). 2016 წელს, გადავწყვიტე, კვლავ პროგრამას დავბრუნებოდი. საკუთარ მომავალს დამოუკიდებლად ვქმნიდი, რაც ჩემთვის საამაყოა. ჩემი მუშაობის მთავარი მიმართულება მოსწავლეების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და კოლეგების განვითარებაზე ზრუნვაა.*

*მიმაჩნია, რომ ეროვნულ ჯილდოს ორი მიმართულებით შეუძლია საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა – პედაგოგებს მისცემს სტიმულს, თავდაჯერებულნი შეუერთდნენ კონკურსში მონაწილე ლიდერ პედაგოგთა ჯგუფს, უამრავი იდეა გაცვალონ და გაახალისონ პრაქტიკა. რაც დრო გავა და პედაგოგთა დიდი წრე შეიკვრება, ეს განათლების სფეროს შედეგიანს გახდის; მეორე – მასწავლებლის პროფესია მეტად პოპულარული და დაფასებული ხდება და ღირს, სტუდენტებმა არჩევანი სწორედ ამ პროფესიაზე შეაჩერონ.*

*ჩემთვის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" კონკურსი, პირველ რიგში, პროფესიონალიზმის აღიარება, თავდაჯერებულობისა და რწმენის კიდევ უფრო განმტკიცებაა, რომ სწორ გზაზე ვდგავარ. თუკი ჟიური და საზოგადოების ნაწილი ჩემს მუშაობას შედეგის მომტანად მიიჩნევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საყვარელი საქმის კეთება კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა გავაგრძელო.*

*15 ივნისს 17 საათზე, მეგობრებთან ერთად, სვანეთის ულამაზესი სოფლის, უშგულის, დასათვალიერებლად მივემგზავრებოდი, ყველას ტელეფონი დამჯდარი იყო, ერთ-ერთმა წამიერად ჩართო და მითხრა: ჭიჭინაძე ათეულშიაო, გაღიმებული ვუყურებდი ვიდეოს, რომელიც მარწმუნებდა, რომ ჟიურიმ შემარჩია. რთული არაა ვისაუბრო ემოციებზე, თუ რა ვიგრძენი, ცხადია, ძალიან გამიხარდა და მინდოდა მეყვირა „გამომივიდაააააააა".*

**ჯაბა ლაბაძე**, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: *„პირველ რიგში, მინდა მივულოცო ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრებს ამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის წარმატებით გადადგმა და სამომავლო წარმატებები ვუსურვო. კონკურსში მონაწილეობა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, ამ ყველაფერს თავისი ისტორია აქვს – როდესაც 2018 წლის კონკურსის შესახებ გახდა ცნობილი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციამ მთხოვა, წარმედგინა კანდიდატურა, მაგრამ მე მტკიცე უარი განვაცხადე. რამდენიმე კვირაში, მარტის ბოლოს, სურამში ერთ-ერთი ინტერნეტგაზეთის ჟურნალისტი ჩამოდის და ჩემგან და ჩემი მოსწავლეებისგან იღებს ინტერვიუს ვიკიპედიაში ჩვენი მუშაობის შესახებ. ინტერვიუს არაერთი სამოტივაციო მესიჯი მოჰყვა მეგობრებისგან, მთხოვდნენ, აუცილებად წარმედგინა კანდიდატურა ეროვნულ ჯილდოზე. კვლავ უარს ვაცხადებდი. საბოლოოდ კი, ყველაფერი ჩემი მოსწავლეების ნათქვამმა გადაწყვიტა – მითხრეს, რომ ძალიან ბედნიერები იქნებიან, თუკი მათი მასწავლებელი ეროვნულ ჯილდოს მოიგებს. ამის შემდეგ აღარც მიფიქრია, დავწერე აპლიკაცია და დავრეგისტრირდი.*

*ჩემი სამომავლო გეგმები, რასაკვირველია, ისევ ჩემს დაწყებულ საქმიანობას უკავშირდება. ტექნოლოგიების ეპოქა მოსწავლეებსა და პედაგოგებს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და ვაპირებ, მოსწავლეებს Google maps-ზე მუშაობა შევასწავლო და მათ მიერ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის (და შემდეგ სხვა რეგიონების) კულტურული მემკვიდრეობის უკვე ატვირთული სტატიების დატანას Google-ის რუკაზე, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება მათი სწავლების პროცესში. ამ კუთხით, უკვე ვთანამშრომლობ თბილისის „ევროპულ სკოლასთან". ვაპირებ, ჩვენი სკოლის სარდაფის ამჟამად თავისუფალ სივრცეში სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოვაწყო, ასევე, სხვადასხვა გრანტებითა და პროექტებით შევიძინო კომპიუტერული ტექნიკა და, სკოლის ბაზაზე, გავხსნა „ვიკიპედიელთა კლუბი", შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვილობით, რომელიც არა მარტო ჩემი სკოლის, არამედ მუნიციპალიტეტის ბავშვებსაც მოემსახურება."*

**ლელა კოტორაშვილი**, თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„სულ რომ არ გახვიდე ათეულში ან არ გადახვიდე ფინალში, თავად კონკურსში მონაწილეობა უკვე მნიშვნელოვანია, რადგან აპლიკაციის შევსებისას აფასებ შენს პრაქტიკას, განვლილ გზას – რას აკეთებ და რა გაქვს გასაკეთებელი, რა გამოგდის კარგად და კიდევ რა უნდა გააკეთო გასაუმჯობესებლად. ათეულში აღმოჩენა ჩემთვის, პირველ რიგში, იმის დასტური გახდა, რომ, ალბათ, ჩემს საქმეს სწორად ვაკეთებ. კონკურსი გაძლევს საშუალებას, უფრო საინტერესო გახადო შენი პროფესიული საქმიანობა, მეტი ადამიანი გაიცნო, გაუზიარო გამოცდილება და მათგან ისწავლო. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია, მეტიც, ასეთი ურთიერთობები ჰაერივით მჭირდება. ძალიან სასიხარულოა სამოქალაქო აღიარებაც, თუმცა, ამავე დროს, უზარმაზარი პასუხისმგებლობაცაა. გააზრებული მაქვს, რომ ეს პასუხისმგებლობა გარკვეულ ვალდებულებებსაც მაკისრებს.*

*მასწავლებლობა, 9 წლის წინ, ამ სკოლაში დავიწყე, სადაც დღეს ვაგრძელებ მუშაობას. ერთი წელი კლასის კოორდინატორად ვმუშაობდი. უნდა ვაღიარო, რომ მაშინ ძალიან გამიჭირდა. ჩემი პირველი შვილი, თეკლა, მარტომ გავზარდე. სწორედ მაშინ დავიწყე საბავშვო ლიტერატურის აქტიურად კითხვა. მერე აღმოვაჩინე, რომ სკოლაში მუშაობა სწავლების მეთოდების, ბავშვის განვითარების ეტაპების არცოდნის გამო გამჭირვებია. თეკლასთან ურთიერთობამ, მასთან თამაშმა, მუდმივად იმაზე ფიქრმა, როგორ გამეხადა მისი ყოველდღიურობა საინტერესო, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმიყვანა იქამდე, რომ გააზრებულად დავინტერესდი პედაგოგიკით. მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები ჩავაბარე და, რადგან თბილისში სკოლაში მუშაობის დაწყება იოლი არ აღმოჩნდა, გადავწყვიტე პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის", რაჭის ერთ-ერთ სოფელში – უწერაში წასვლა. უწერის სკოლით ჩემი საქიანობა კი არ გაგრძელდა, არამედ დაიწყო. სამი წელი ვიმუშავე ისე, რომ წამოსვლის სურვილიც კი არ გამჩენია. სამი წლის შემდეგ, თბილისში დაბრუნება გადავწყვიტე, რადგან მაგისტრატურაში უნდა გამეგრძელებინა სწავლა. დავბრუნდი ისევ იმ სკოლაში, სადაც პირველად ვეზიარე მასწავლებლის პროფესიას. ეს ერთგვარი მადლიერების გამოხატვაც იყო სკოლისადმი, რომელმაც 22 წლის გოგო მიმიღო და დამაკვალიანა.*

*ხშირად მოიაზრებენ, რომ არაფორმალური გარემო მოწყვეტილია ფორმალურ სასწავლო გარემოს. მუდმივად მიწევს იმაზე საუბარი, რომ არაფორმალური სწავლება სწორედ ფორმალური სასწავლო პროცესის დროს ნასწავლის განმტკიცებას ემსახურება და ფორმალურ გარემოში დასწავლილი მეთოდებითა და აქტივობებითაა აკინძული. მუდმივად ვფიქრობ იმაზე, რომ ბავშვები არ იყვნენ მოწყენილები და ამ ფიქრებს პატარ-პატარა აღმოჩენებამდე მივყავარ. სამი წლის წინ, რაჭაში, ჩამოვაყალიბეთ ლიტერატურული კაფე „მირამისი". თბილისში დაბრუნების მერე კი, იგივე აქტივობები დავნერგე ქალაქის სკოლაში და სახელად „ჰემლოკი" შევურჩიეთ. ლიტერატურული კაფეს დანიშნულება მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებაა და დავრწმუნდი, რომ ჩემმა მოსწავლეებმა მართლაც შეიგრძნეს წიგნის კითხვით ცხოვრების მრავალფეროვნების მნიშვნელობა. რაჭველ მოსწავლეებთან, დისტანციური სწავლების მეთოდით, ახლაც ვაგრძელებ მუშაობას. გვაქვს პროექტი „წაიკითხე ჩემი წიგნი", რომელშიც მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან ჩასული სტუმრები. კიდევ ერთი პროექტი წამოვიწყე – „მიმოწერილი მთა და ქალაქი" – რაჭველ ბავშვებს წერილებს ვწერთ. მათ ჩემი ახალი ცხოვრების შესახებაც მოვუთხრობდი: უნივერსიტეტში სწავლის, სკოლის, ახალი წიგნების ამბავს ვუზიარებდი. წერილები საქართველოს ფოსტით გავაგზავნე. ამის შემდეგ გადავწყვიტე, თბილისის სკოლის მოსწავლეების შემაჯამებელი წერა რაჭაში გაგვეგზავნა და, უკვე სკოლის სახელით, რაჭველ თანატოლებთან 40 წერილი გავგზავნეთ. მართლა საოცარი წერილები მისწერეს ბავშვებმა ორ თანატოლ რაჭველ გოგონას, რომლებიც თბილისში ჩამოვიყვანე და გავაცანი. პროექტი „მიმოწერილი მთა და ქალაქი" ხელს უწყობს სოფლისა და ქალაქის ბავშვების დაახლოებას. ეცნობიან და აფასებენ ერთმანეთის ცხოვრების წესს, ამასთანავე, უვითარდებათ წერითი უნარები და ტექნოლოგიურ სამყაროში ხელნაწერი წერილებით ურთიერთობის მნიშვნელობაში რწმუნდებიან.*

*მასწავლებლობა მუდმივი აღმოჩენებისა და თვითგანვითარების გზაა. ეს პროფესია იმით არის განსაკუთრებული, რომ ასმაგად გიბრუნდება, რასაც გასცემ."*

* * *

*„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" საუკეთესო საშუალებაა, ახალგაზრდებს დავანახოთ, ქვეყანაში ასეთი არაჩვეულებრივი მასწავლებლები გვყავს და ამ პროფესიითაც შეიძლება გახდე ძალიან პოპულარული და წარმატებული. – ამბობს ჯილდოს პროექტის კოორდინატორი გიორგი ჭანტურია, – შარშანდელი კონკურსის ათეულშიც გვყავდა ახალგაზრდა მასწავლებლები, მაგალითად,* ***ნათია ფურცელაძე****. არა მგონია, ვინმემ მასზე წარმატებული ადამიანი დამისახელოს. ახალგაზრდა მასწავლებლები წლევანდელ ათეულშიც მოხვდნენ – ლელა კოტორაშვილი (თბილისიდან) და თემო სუყაშვილი (ჰერეთიდან). სასურველია, ამ ჭრილშიც შევხედოთ კონკურსს. შარშანდელმა საუკეთესო ათეულმა ბევრი რამ გააკეთა ჯილდოსთვის და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებისთვის, კონკურსის არსებობა თუნდაც ამისთვის ღირს. ამ შესანიშნავ ჯგუფს წელს კიდევ ათი მასწავლებელი შეემატა და, საბოლოოდ, რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენ გვეყოლება გარკვეული ჯგუფი პედაგოგებისა, რომლებიც მთლიანად მასწავლებელთა კორპუსის მამოძრავებელ ძალად, სწორი მიმართულების მიმცემად შეიძლება იქცეს."*

კვლევა

# საქართველოში ბავშვები მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ჯგუფია

ლალი ჯელაძე

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით, ბოლო ორ წელიწადში, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა, ბავშვები კი კვლავაც მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ჯგუფს წარმოადგენენ.

იუნისეფის ინიციატივით, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ჩატარებული კვლევა საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას ისახავს მიზნად. კვლევა შეისწავლის ოჯახების მდგომარეობას საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

2017 წლის კვლევამ, რომელიც 2009 წელს დაწყებული კვლევების მეხუთე ეტაპს წარმოადგენს. შეისწავლა სამომხმარებლო სიღარიბის, სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები. კვლევის მეხუთე ეტაპზე შესაბამისი კითხვარები 4697-მა შინამეურნეობამ (ოჯახმა) შეავსო და მიღებული შედეგები რეპრეზენტატიულია ქვეყნის მასშტაბით. კვლევას სამი მიზანი აქვს, ესენია: 1. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციების მიმოხილვა; 2. კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების დინამიკის შეფასება და მათი შედარება გასული ეტაპების შედეგებთან; 3. საქართველოში განხორციელებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმის“ შედეგების იდენტიფიკაცია და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის, სოციალური დახმარების ახალი მეთოდოლოგიისა და სქემის დანერგვის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ, დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

კვლევის მიხედვით, 2017 წელს, სიღარიბის მაჩვენებელი, 2015 წელთან შედარებით, უფრო გაიზარდა და ეროვნულ დონეზე შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4,3%, მოსახლეობის 5%, ბავშვების 6,8% და პენსიონერების 3,7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარებები უფრო მიზნობრივი გახდა და სისტემა უკეთ ხედავს ბავშვიან ღარიბ ოჯახებს, ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლები მაინც გაზრდილია, ასევე გაიზარდა სიღარიბის დონე მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის; თუმცა, კვლევაში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვის მომსახურებები; ასევე, შემცირდა სხვაობა სოფელსა და ქალაქს, მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის, სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის თვალსაზრისით, მაგრამ საბავშვო ბაღების არარსებობის გამო, დაახლოებით, 14 000 ბავშვი კვლავ ვერ დადის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში – ეს არის შედეგები, რომელიც იუნისეფმა საზოგადოების წინაშე წარმოადგინა.

**ბავშვის კეთილდღეობის უფრო კონკრეტული მონაცემები კიდევ უფრო არასახარბიელოდ გამოიყურება.** შინამეურნეობების 33.4%-ს ჰყავს, მინიმუმ, ერთი 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ბავშვებიანი ოჯახების 50% სოფლად ცხოვრობს. ბავშვების მატერიალური საცხოვრებელი პირობები, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის არსებობის თვალსაზრისით, გაუმჯობესდა, იმ ბავშვთა წილი კი, რომლებიც ცუდ პირობებიან საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ, საგრძნობლად შემცირდა. ასევე, შემცირდა ბავშვებში სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დონე. თუმცა, 2017 წლის მონეტარული მაჩვენებლების საფუძველზე განსაზღვრული სიღარიბის დონე გაიზარდა.

გარდა ამისა, საქართველოში სოფლად მცხოვრები ბავშვების 4.1% ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროზე. არასათანადო სანიტარიული მოწყობილობების მქონე შინამეურნეობაში ქალაქად ბავშვების 9.3% ცხოვრობს, სოფლად კი – 32.9%. ოჯახები, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავთ, თვეში, საშუალოდ, სოციალური დახმარების სახით, ერთ ზრდასრულ პირზე 122.8 ლარს იღებენ, მაშინ, როცა ბავშვებიანი შინამეურნეობების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50.5 ლარია. ბავშვებიანი ოჯახების საშუალო ხარჯი კი, იმ ოჯახებთან შედარებით, რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ, 53%-ით მაღალია.

კვლევის აქცენტები, თუ **რა გავლენას ახდენს სიღარიბე განათლებაზე** დამაფიქრებელია. საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობა გამოიკვეთა სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, საბავშვო ბაღების არარსებობის გამო, დაახლოებით, 14 000 ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ვერ დადის. 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების 63.7% დადიოდა საბავშვო ბაღში. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ბაღებში დადიოდა. ზოგადად, ქალაქში, საბავშვო ბაღებში 3-5 წლის ბავშვების უფრო დიდი პროცენტული წილი დადიოდა, ვიდრე სოფლად (78% და 51%). განსხვავებული სურათია ოჯახების უმდიდრეს მეხუთედსა და უღარიბესი შინამეურნეობების მეხუთედს შორისაც – მდიდარი ოჯახების 3-5 წლის ბავშვების თითქმის 64% დადიოდა საბავშვო ბაღში, მაშინ, როცა ამ მაჩვენებელმა ღარიბი ოჯახების ბავშვების 57.7% შეადგინა.

3-5 წლის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 8.9% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იმიტომ არ დადიოდა, რომ მათ რაიონებში საბავშვო ბაღები არ იყო.

**სკოლამდელ განათლებას სერიოზულ პრობლემას უქმნის ინფრასტრუქტურის არარსებობა** და ეს ფაქტორი უფრო მეტად დამახასიათებელია სოფლისთვის (16.8%). ასევე პრობლემას წარმოადგენს არსებულ საბავშვო ბაღებში ადგილების სიმცირე და ბავშვების მთლიანი რაოდენობის, თითქმის, 5.1% სწორედ ამის გამო ვერ იღებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განათლებას.

**რაც შეეხება სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელს – 97%-ია**; ამის მიუხედავად, 15-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებიდან, ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი აღარ იღებს განათლებას. ოფიციალურ კვლევაში ნათქვამია ისიც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია უღარიბესი და უმდიდრესი ოჯახების ბავშვთა დასწრების მაჩვენებლები – ღარიბი ოჯახების ბავშვები უფრო იშვიათად იღებენ სკოლამდელ ან დაწყებით განათლებას. 15-18 წლის უღარიბეს ბავშვებში სკოლის დასწრების მაჩვენებელი თითქმის 81%-ია, ხოლო უმდიდრეს ჯგუფის ბავშვებში – 98%. სამწუხაროდ, განსხვავება კიდევ უფრო აშკარა ხდება 18 წლის ასაკის ზევით, როდესაც ღარიბი ოჯახების ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებებს ტოვებენ. სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას აგრძელებს უღარიბესი კვინტილის 20 წლის ბავშვების თითქმის 5% და უმდიდრესი კვინტილის 77%.

კვლევის შედაგად გამოკვეთილი პრობლემებიდან **მნიშვნელოვანია საბავშვო წიგნებზე ხელმისაწვდომობა**. ყველაზე ღარიბი ოჯახების ყოველი 10 ბავშვიდან 6-ს არ აქვს, ან საკმარისად არ აქვს, ან საერთოდ არ მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე. საქართველოში 36-59 თვის ბავშვების მხოლოდ 59%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. უღარიბესი ბავშვების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 36%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის ბავშვების შემთხვევაში – 88%. ამასთან ერთად, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი საბავშვო წიგნებზე (66.3%), ვიდრე სოფლად მცხოვრებ ბავშვებს (52.6%). ამავდროულად, ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების (ECD) ინდექსის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ბავშვების 92.8% სწორად ვითარდება.

ქვეყანაში ზოგადად გაუმჯობესებული მონაცემების მიუხედავად, იუნისეფის წარმომადგენლები, ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ახალ გამოწვევებზე საუბრობენ, რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ ყოველი მე-5 ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ყოველი მე-6 ბავშვი კი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში **ლაილა გადი** ამბობს, რომ: *„მნიშვნელოვანია ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება, მაგრამ ჩვენი კვლევის მიხედვით, ბავშვები კვლავ დაუცველ ჯუფებად რჩებიან. ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში, განათლებაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. ამიტომ მათ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ძალიან მნიშვნელოვანია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების არსებობა და მეტი ინვესტიცია ოჯახების გაძლიერებისთვის.“*

ბავშვთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მიდგომების შეცვლაზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. **ანდრო დადიანი**, ორგანიზაცია „პარტნიორობა ბავშვებისთვის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ აუცილებელია სახელმწიფომ გააუმჯობესოს პოლიტიკა და გაზარდოს სოციალური ტრანსფერები, აამაღლოს განათლების ხარისხი და უზრუნველყოს სოციალური პროგრამების მაქსიმალური მიზნობრიობა.

უფლებადამცველი **ანა არგანაშვილი** მიიჩნევს: *„მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ზოგადად დადებითი ტენდენციაა, ბავშვები ჯერ ისევ ყველაზე უფრო გარიყული ჯგუფია და, სამწუხაროდ, მათ ნაკლებად ეხებათ ის პოზიტივი, რაც მოსახლეობის სხვა ჯგუფებისთვისაა, არადა, ცალსახაა, რომ ეს პირიქით უნდა იყოს.“*

ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე ყველაზე დიდი გავლენა სწორედ მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და ბავშვის დანამატს აქვს, რომელთა გარეშე ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 13,1 პროცენტამდე გაიზრდებოდა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძე** აცხადებს, რომ სოციალური ფონის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას მომდევნო წლებშიც გეგმავს, რაც, ბუნებრივია, მოსახლეობის სოციალურ ფონზე აუცილებლად აისახება.

* * *

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ საქართველოში, 2009 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და ეს არის გამოკითხვა, რომელშიც 2017 წელს 5 000-მდე ოჯახმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა იძლევა მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ინფორმირებული სისტემური ცვლილებების განხორციელება. როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში აცხადებენ, 2013 წლის კვლევის გამოქვეყნებას, სახელმწიფო დონეზე, მიზნობრივი სოციალური და დახმარების პროგრამის სტრუქტურული რეფორმა მოჰყვა. შედეგად კი, დღეს, ქვეყანაში სწორედ 2013 წლის კვლევის შედეგად შემოთავაზებული ერთ-ერთი მოდელი მოქმედებს. თუ რა ცვლილებებს განახორციელებს სახელმწიფო მოსახლეობაში სიღარიბის დასაძლევად, განსაკუთრებით კი ბავშვთა სიღარიბის მიმართულებით, როგორც ჩანს, საზოგადოება, ორი წლის შემდეგ, ისევ იუნისეფის კვლევებით შეიტყობს.




## მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ძირითადი მიგნებები

- *ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები ქვეყანაში გაიზარდა, ძირითადად, შენელებული ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობისა და სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო.*
- *შემოსავლის რეალური ზრდის გამო, ხალხი ნაკლებად მიიჩნევს თავს ღარიბად.*
- *მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები გაიზარდა. მედიკამენტების შეძენა კვლავ რჩება ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მთავარ კომპონენტად.*
- *ეკონომიკურ სირთულეებთან თავის გართმევის მიზნით, უფრო მეტი ოჯახი მიმართავს სესხს. ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება (ბანკები და ლომბარდები) გაიზარდა ღარიბ ოჯახებში.*
- *საბავშვო ბაღში დასწრებასთან დაკავშირებით შემცირდა სხვაობა ღარიბ/მდიდარ და ქალაქად/სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის.*
- *ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ 3-5 წლის ასაკის 10 ბავშვიდან 6-ს საბავშვო წიგნები ან საერთოდ არ აქვს, ან აქვს არასაკმარისი რაოდენობით.*
- *ღარიბი მოსახლეობის 15-18 წლის ასაკის ყოველი მეხუთე ბავშვი აღარ არის ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში.*

# პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად გთავაზობთ დამხმარე მასალას, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატშია მომზადებული

## CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

### TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

**259. Dyünün əsasında, biliyi, təlimi, tədrisi izah edək?**

**Bilik –** obyektin həmin ittifaqlarının dərk edilməsidir ki, bu da onun istifadəsi imkanını konkret vəziyyətdə verir.

**Təlim** – aktiv prosesdir ki, bu da praktiki əməlləri əhatə edir, çünki subyekt öz əməllərinin vasitəsilə təhsil alır.

**Tədris** – aktiv prosesdir ki, bu zaman müəllim şagirdə öz təcrübəsini yeni biliklə əlaqələndirməkdə və onu müvafiq vəziyyətdə istifadə etməkdə kömək edir.

**260. Montesor nəzəriyyəsi necə məşhurlaşdı?**

Əqli çatışmazlığa malik 8 yaşında şagirdlər oxu-yazı üzrə imtahanları nailiyyətlə verərək ortadan yuxarı ballar aldılar. Montesor pedaqogikada göstərdiyi xidmətə və dünyada uşaqların hüquqlarının qorunmasına görə üç dəfə Nobel mükafatına layiq görülmüşdür.

**261. Montesorun fikrincə, pedaqogika üçün uşağın təbii inkişafının senzitiv dövrlərinin özünəməxsusluqlarının biliyi nə üçün vacibdir?**

Montesora əsasən, müəllim uşağın təbii inkişafının senzitiv dövrlərinin özünəməxsusluqlarını bilməlidir. Bu, təlim üçün uşağın motivləşdirilməsi və onun inkişafının stimullaşdırılması üçün vacibdir.

**262. Montesorun "Uşaqlar Evi" dərs proqramı kimin üçün nəzərdə tutulmuşdur?**

Montesorun "Uşaqlar Evi" dərs proqramı 3-dən 6 yaşına qədər uşaqlarda erkən inkişafın stimullaşdırılması üçün nəzərdə tutulmuşdur.

**263. Montesor ətraf mühitə hansı əhəmiyyəti verirdi?**

Müxtəlif yaşda olan uşaqlar bir sinif məkanında olurlar ki, bunun təşkilinə də Montesor böyük əhəmiyyət verirdi. Onun nöqteyi-nəzəriyyəsinə əsasən, öz-özünə tənbəl, heç nəyə marağı olmayan, qəbuledilməz və diqqət cəlb edən hərəkəti edən uşaq yoxdur. Bu problemlər ətraf mühitin uşağın ehtiyaclarını nəzərə almadığında yaranır.

**264. Montesorun tədris metodu nəyi nəzərdə tutur?**
**Montesorun tədris metodu nəzərdə tutur:**

✓ **uşağın** əvvəlcədən təşkil edilmiş mühitdə**müşahidə edilməsi;** əvvəlcədən təşkil edilmiş mühitdə dərs otağı nəzərdə tutulur ki, bunun məkan təşkili dərs məqsədlərindən irəli gələrək asanlıqla mümkündür. Eləcə də müxtəlif çətinlikdə olan tapşırıqları yerinə yetirmək üçün cürbəcür iş materialları səliqə ilə düzülmüşdür;

✓ **müşahidə əsasında** inkişafın senzitiv dövrünün nəzərə alınması ilə **uşaq üçün dərs planının işlənib hazırlanması**;

✓ **tədrisdə hisslərin bütün kanallarının istifadəsi:** görmə, dinləmə, qoxulama, təmas, kinestetik hisslər;

✓ **uşaq üçün çatdırılası tədris tempinin seçilməsi və** nailiyyətlərin qiymətləndirilməsi üçün portfolionun istifadəsi;

✓ **müxtəlif yaş qrupunda uşaqların bir sinifdə təhsil almalarını,** məs. 3-6 yaşında, 7-9 yaşında və s.

**265. Montesorun tədris prinsipləri nədir?**

✓ Şagirdin müstəqilliyi və təşəbbüskarlığı;
✓ problemin həlli yönümlü tədris;
✓ sensor tədris;
✓ hərəkət azadlığı.

**Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova**

## მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

### სწავლის და განვითარების თეორია

**259. დიუის მიხედვით, განვმარტოთ – ცოდნა, სწავლა, სწავლება.**

**ცოდნა** – ობიექტის იმ კავშირების გაცნობიერებაა, რაც მისი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს კონკრეტულ სიტუაციაში.

**სწავლა** – აქტიური პროცესია, რაც აუცილებლად პრაქტიკულ მოქმედებებს მოიცავს, რადგან სუბიექტი სწავლობს თავისი მოქმედებების საშუალებით.

**სწავლება** – აქტიური პროცესია, რომლის დროსაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს საკუთარ გამოცდილებასთან დააკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში.

**260. რით გახდა პოპულარული მონტესორის თეორია?**

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე 8 წლის მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები წერა-კითხვაში და საშუალოზე მაღალი ქულებიც მიიღეს. მონტესორის სამჯერ მიანიჭეს ნობელის პრემია პედაგოგიკაში განსაკუთრებული წვლილისა და მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვის გამო.

**261. მონტესორის აზრით, რატომ არის აუცილებელი პედაგოგისათვის ბავშვის ბუნებრივი განვითარების სენზიტიური პერიოდების თავისებურებათა ცოდნა?**

მონტესორის მიხედვით, პედაგოგმა უნდა იცოდეს ბავშვის ბუნებრივი განვითარების სენზიტიური პერიოდების თავისებურებანი. ეს აუცილებელია სწავლისათვის ბავშვის მოტივირებისა და მისი განვითარების სტიმულირებისათვის.

**262. ვისთვისაა განკუთვნილი მონტესორის სასწავლო პროგრამა „ბავშვების სახლი"?**

მონტესორის სასწავლო პროგრამა „ბავშვების სახლი" განკუთვნილია 3-დან 6 წლამდე ბავშვების ადრეული განვითარების სტიმულირებისათვის.

**263. რა მნიშვნელობას ანიჭებდა მონტესორი გარემოს?**

სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ საკლასო სივრცეში იმყოფებიან, რომლის მოწყობასაც მონტესორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი შეხედულებით, თავისთავად არ არსებობს ზარმაცი, ინტერესების არმქონე, მიუღებელი და გამომწვევი ქცევის მქონე ბავშვი. ეს პრობლემები ჩნდება მაშინ, როცა გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.

**264. რას გულისხმობს მონტესორის სწავლების მეთოდი?**
**მონტესორის სწავლების მეთოდი გულისხმობს:**

✓ **ბავშვზე დაკვირვებას** წინასწარ მოწყობილ გარემოში; წინასწარ მოწყობილ სასწავლო გარემოში იგულისხმება სასწავლო ოთახი, რომლის სივრცის რეორგანიზაცია ადვილადაა შესაძლებელი სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. ასევე მოწესრიგებულადაა განლაგებული მრავალფეროვანი სამუშაო მასალა სხვადასხვა სირთულის დავალებების შესასრულებლად;

✓ **დაკვირვების საფუძველზე ბავშვისათვის სასწავლო გეგმის შემუშავებას** განვითარების სენზიტიური პერიოდის გათვალსიწინებით;

✓ **სწავლებაში შეგრძნების ყველა არხის გამოყენებას**: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება, კინესთეტიკური შეგრძნებები;

✓ **ბავშვისათვის მისაწვდომი სწავლების ტემპის შერჩევასა** და პორტფოლიოს გამოყენებას მიღწევების შეფასებისათვის;

✓ **სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ერთ კლასში სწავლებას**, მაგ., 3-6 წლის, 7-9 წლის და ა.შ.

**265. რა არის მონტესორის სწავლების პრინციპები?**

✓ მოსწავლის დამოუკიდებლობა და ინიციატივა;
✓ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სწავლება;
✓ სენსორული სწავლება;
✓ მოძრაობის თავისუფლება.

***მომზადდა ასოციაცია „ზეკართან" თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.***

## Կարևոր հարցեր պատասխաններով

### ՈՒՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

**259. Ըստ Դյուի, բացատրենք՝ իմանալը, ուսանումը և ուսուցումը:**

**Իմանալը** օբյեկտի այն կապերի գիտակցումն է, ինչը մեզ հնարավորություն կտա կոնկրետ իրավիճակում այն օգտագործել:

**Ուսանումն** ակտիվ գործընթաց է, որն անպայման ներառում է պրակտիկ գործողություններ, քանի որ սուբյեկտը սովորում է իր գործողությունների միջոցով:

**Ուսուցումը**՝ ակտիվ գործընթաց է, որի ժամանակ ուսուցիչն օգնում է աշակերտին սեփական փորձի հետ կապել նոր գիտելիքը և օգտագործել այն համապատասխան իրավիճակում:

**260. Ինչո՞վ հանրահայտ դարձավ Մոնթեսորի տեսությունը:**

Մտավոր հետամնացություն ունեցող 8 տարեկան աշակերտները հաջողությամբ են հանձնել գրել-կարդալու քննությունը և միջինից բարձր գնահատական են ստացել: Մոնթեսորին երեք անգամ են շնորհել Նոբելյան մրցանակ մանկավարժության մեջ առանձնահատուկ ներդրման և աշխարհում երեխաների իրավունքների պաշտպանության համար:

**261. Ըստ Մոնթեսորի, ինչու է անհրաժեշտ մանկավարժի համար երեխայի բնական զարգացման զգայական շրջանների առանձնահատկությունների իմացությունը:**

Ըստ Մոնթեսորի, մանկավարժը պետք է գիտենա երեխայի բնական զարգացման զգայական շրջանների առանձնահատկությունները: Դա անհրաժեշտ է սովորելու համար երեխային մոտիվացնելու և նրա զարգացումը խթանելու համար:

**262. Ո՞ւմ համար է հատկացված Մոնթեսորի «Երեխաների տուն» ուսումնական ծրագիրը:**

Մոնթեսորի «Երեխաների տուն» ուսումնական ծրագիրը հատկացվածէ 3-ից մինչև 6 տարեկան երեխաների վաղ զարգացումը խթանելու համար:

**263. Ի՞նչ նշանակություն էր շնորհում Մոնթեսորը միջավայրին:**

Տարբեր տարիքի երեխաները գտնվում են մեկ դպրոցական տարածքում, որի կազմակերպմանը Մոնթեսորը մեծ նշանակություն էր շնորհում: Նրա կարծիքով, ինքնըստինքյան գոյություն չունի ծույլ, հետաքրքրություններ չունեցող, ոչ ընդունելի և հրահրող վարք ունեցող երեխա: Այս խնդիրներն այն ժամանակ են առաջանում, երբ միջավայրը չի նախատեսում երեխայի կարիքները:

**264. Ի՞նչ է ենթադրում Մոնթեսորի ուսուցման մեթոդը:**
**Մոնթեսորի ուսուցման մեթոդը ենթադրում է.**

✓ **երեխայի դիտարկում** նախապես կազմակերպված միջավայրում, նախապես կազմակերպված ուսումնական միջավայրի մեջ ենթադրվում է ուսումնական սենյակ, որի տարածքը հնարավոր է հեշտությամբ վերակառուցքավորել ՝ ելնելով ուսումնական նպատակներից: Ինչպես նաև կարգավորված են տեղադրված բազմազան աշխատանքային նյութերը՝ տարբեր բարդության առաջադրանքների կատարման համար:

✓ **Դիտարկման հիման վրա երեխայի համար ուսումնական պլանի կազմում**՝ զարգացման զգայական շրջանների նախատեսմամբ:

✓ **Ուսուցման մեջ զգայության բոլոր միջոցների օգտագործում**՝ տեսողություն, լսողություն, հոտոտելիք, շոշափելիք, կինեսթետիկ զգայություններ:

✓ **Երեխային հասանելի ուսուցման տեմպ ընտրել** և պորտֆոլիո օգտագործել ձեռքբերումների գնահատման համար:

✓ **Տարբեր տարիքային խմբերի երեխաների ուսուցում մեկ դասարանում**: Օրինակ, 3-6 տարեկան, 7-9 տարեկան և այլն:

**265. Որո՞նք են Մոնթեսորի ուսուցման սկզբունքները:**

✓ Աշակերտի ինքնուրույնությունը և նախաձեռնությունը,
✓ խնդրի լուծմանը միտված ուսուցում,
✓ սենսորային ուսուցում,
✓ շարժման ազատություն:

Թարգմանությունը՝ Զոյա Միխիթարյանի

პროფესია პედაგოგი

# მასწავლებლობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს




### ჩემ შესახებ

მე ვარ ვლადიმერ უშიკიშვილი, თიანეთის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი. 2004-2009 წლებში ვმუშაობდი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. 2009-2017 წლებში ვიყავი თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით. 2017 წლიდან დავუბრუნდი მშობლიურ სკოლას.

### პროფესია მასწავლებელი

არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ კაცი მასწავლებლები სკოლაში უფრო ნაკლებია, თუმცა მწვრთნელებსაც თუ ჩავთვლით, აქ უპირატესობა მამაკაცებს აქვთ. 2004 წელს დავამთავრე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ამავე წელს დავიწყე მუშაობა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მშობლიურ სკოლაში. ჩემი პროფესია, მასწავლებლობა, დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს ბავშვების, მშობლების, სკოლისა და სამშობლოს წინაშე.

ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს შენი პროფესია და ბავშვები, ფიქრობდე პროფესიულ განვითარებაზე, გიყვარდეს შრომა, იყო სამართლიანი და კომუნიკაბელური.

### სპორტის გაკვეთილები – თანმდევი პრობლემები

სპორტული ინვენტარით ჩვენი სკოლა კარგადაა აღჭურვილი, რაზეც სკოლის დირექციამ დროულად იზრუნა. გარდა ინვენტარისა, სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ინეზა ციხიშვილი** ყველანაირ პირობას ქმნის სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის და სპორტის განვითარებისთვის, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

მთავარი პრობლემა, რაც ვარჯიშში ხელს ძალიან გვიშლის, სპორტული დარბაზის დაუმთავრებელი რემონტია, ეს გამოწვეულია ტენდერში გამარჯვებული სარემონტო კომპანიის არაკეთილსინდისიერებით. დარბაზი არ თბება და იატაკი მოუწესრიგებელია. ამიტომ გაკვეთილის ჩატარება ძალიან რთულ პირობებში გვიწევს.

### თანამედროვე მოსწავლეები

ბავშვებს მოსწონთ, როცა მასწავლებელთან თავს ისე გრძნობენ, როგორც თანატოლთან და მეგობართან, უსმენ, აფასებ მათ შეხედულებებს. სპორტის მასწავლებლებს დისციპლინარული დასჯის მეთოდების გამოყენება, ძირითადად, არ გვიწევს. თუმცა, მქონია შემთხვევები, როდესაც ბავშვი „დამისჯია" ვარჯიშის არასწორად შესრულებისთვის. მაგალითად, ბურთის არასწორად დარტყმისთვის ვაკეთებინებდი 5 ჩაჯდომს, მაგრამ ეს უფრო ყურადღების გასამახვილებლად იყო. ბავშვებიც გრძნობდნენ ამას, გაგებით ეკიდებოდნენ და ასეთი „ხალისიანი დასჯით" ცდილობდნენ შეცდომის გამოსწორებას.

### ბულინგი. პრობლემები და მათი დაძლევის გზები

ამ მხრივ, სოფლის სკოლაში, შედარებით ნაკლები პრობლემებია და მით უმეტეს, როცა სკოლა მცირე კონტინგენტიანია. თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც შედარებით ძლიერ ბავშვს არ სურს, სუსტი თანაგუნდელი ჰყავდეს. სპორტში გვაქვს უამრავი თამაში, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების გუნდურ მუშაობაში ჩართვას, თვალნათლივ აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია სუსტ გუნდელთან ვარჯიში და განვითარება, ფსიქოლოგიური მომზადება და გვერდში დგომა, ამ ყველაფერს თუ აუხსნი მოსწავლეებს, პრობლემებიც ნაკლები იქნება.

### თანამედროვე ტექნოლოგიების როლი სპორტის გაკვეთილებზე

ბევრი სასარგებლო და საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალის სანახავად, რა თქმა უნდა, ვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, კომპიუტერს, ვიძიებთ მასალებს, ვამზადებთ პრეზენტაციებს. ვიდეომასალებს ხშირად ვნახულობ სხვადასხვა უცხოურ საიტებზე, რაც ძალიან მეხმარება მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილის ჩატარებაში.

### პროფესიული განვითარება

ტრენინგებზე დასწრება ნამდვილად მიყვარს, რადგან ყოველი ტრენინგი ახალს გმატებს, გავლილი მაქვს: სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი (ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებებით) ტრენინგ-კურსი; ინტელის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ტრენინგი (2-3 დონე); არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია და მათი ბარათის შევსების წესები; თვითმმართველობის საკანონმდებლო ჩარჩო – უფლებები და მოვალეობები, ევროინტეგრაციის საკითხები, ტრენინგპროგრამა; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა გადამზადება; ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოს-ოპერატორის სასწავლო კურსი; საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სახელმწიფო კოლეჯთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი მასაჟისტის კურსი.

დღეს ძალიან ბევრი სოციალური პრობლემაა, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებს მასწავლებლების აქტიურად ჩაბმას სასწავლო პროცესში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მოვალეობები და თუ ბავშვების განვითარება გვინდა, მხოლოდ საგაკვეთილო პროცესი არ არის საკმარისი, უნდა ჩავუტაროთ დამატებითი გაკვეთილები, ჩემ შემთხვევაში, აუცილებელია შეჯიბრებებში მონაწილეობა. კარგია, რომ გაიმარჯვებ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მონაწილეობა და რაც მეტ სახეობაში ჩართავ ბავშვებს, მით მეტი სტიმული ექნებათ შემდგომი წარმატებებისთვის.

### სიახლეების დანერგვა, ახალი ინიციატივები

სიახლეები ბავშვებს მოსწონთ, აუცილებლად სჭირდებათ განვითარება. სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ყველა სიახლეს, ხანდახან შეიძლება ცოტა ჩვენებურად გადავაკეთოთ, რომ ბავშვებს მოვარგოთ, ადვილად აგვყვნენ და ჩაერთონ ახალ გამოწვევებში. რა თქმა უნდა, ყოველთვის განვიხილავთ განვლილ სასწავლო წელს, ვსაუბრობთ წარმატებებსა და წარუმატებლობის გამომწვევ მიზეზებზე და გამოსავალს ვეძებთ, როგორ მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს, შესაბამისად ვგეგმავთ მომავალ სამუშაოებს.

### თავისუფალი დრო, მომავლის გეგმები

თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. მიყვარს ბუნებაში გასეირნება, ლაშქრობებზე სიარული, სიახლეების გაცნობა. სამომავლო გეგმებზე რა გითხრათ, დაგეგმილი არაფერი მაქვს. მინდა, ჩემი ბავშვები იყვნენ წარმატებულები, ჯანმრთელები და კარგ მოქალაქეებად აღიზარდონ.

მოამზადა მაკა ყიფიანმა





ინფორმაცია

# აქტიური თანამშრომლობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ ჩხენკელი** ბავარიის მევენახეობის სახელმწიფო ინსტიტუტისა და GIZ-ის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** ესწრებოდა. მხარეებმა გერმანელი პარტნიორების ჩართულობით თელავში აგრარული მიმართულების ახალი კოლეჯის დაარსების პერსპექტივაზე იმსჯელეს, სადაც წამყვანი მიმართულება ღვინის წარმოებისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მომზადება იქნება. ამ კუთხით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბავარიის მევენახეობის სახელმწიფო ინსტიტუტთან აქტიურად ითანამშრომლებს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო, ქართულ-გერმანული მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, საქართველოში პროფესიული განათლების სამომავლო განვითარებასაც. შეხვედრის ბოლოს გადაწყდა, რომ გერმანელი პარტნიორები, უახლოეს პერიოდში, შეისწავლიან თელავის უნივერსიტეტის რესურსს, რისი გათვალისწინებითაც განისაზღვრება პროფესიული სასწავლებლის დაარსების სამოქმედო გეგმა და ვადები.



# შეხვედრა ექსპერტებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე თევზაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ევროკომისიის პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის – Policy Support Facility-ის საერთაშორისო ექსპერტების სამეცნიერო საზოგადოებასთან შეხვედრას დაესწრო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროკომისიისადმი მიმართვის საფუძველზე, 2017 წლის ოქტომბრიდან, ხორციელდება საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის (STI) პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტი (Policy Support Facility), რომელიც გულისხმობს საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის გაძლიერებისთვის მაღალი რანგის საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციების შემუშავებას.

პოლიტიკის მხარდამჭერი სპეციალური ინსტრუმენტის მესამე, შემაჯამებელი ვიზიტი, საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სისტემის (STI System) განვითარების მიზნით, ევროკომისიის ექსპერტების მიერ შემუშავებული ანგარიშის და შესაბამისი რეკომენდაციის წარდგენასა და გავრცელებას ითვალისწინებს.



ინფორმაცია

# მშვიდობის კორპუსთან მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე თევზაძემ და საქართველოში აშშ-ს მშვიდობის კორპუსის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, კარმენ შიჰანმა, ახალ, 5-წლიან ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობას აშშ-სთან და ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას.

მემორანდუმის საფუძველზე, 2018-2019 სასწავლო წლიდან, საქართველოს 11 რეგიონში, 84 ინგლისური ენის მოხალისე პედაგოგი იმსახურებს. მოხალისეები იმუშავებენ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და დაეხმარებიან ინგლისური ენის ადგილობრივ პედაგოგებს. მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ასევე, დაეხმარებიან პროფესიული კოლეჯების და რესურს-ცენტრების თანამშრომლებს, სტუდენტებს, დაინტერესებულ პირებს ინგლისური ენის ცოდნის, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარებისა და სხვა მიმართულებით.

ახალი მემორანდუმით, ასევე, ამოქმედდება ახალგაზრდობის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომელსაც ამერიკელი მოხალისეები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტთან, ახალგაზრდულ ცენტრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებენ.

სამსახურის დაწყებამდე, მოხალისეები გაივლიან ინტენსიურ წინასამსახურეობრივ ტრენინგს, რომელიც მოიცავს ქართული ენის, კულტურისა და პროექტთან დაკავშირებული უნარების შესწავლას. მოხალისეები, აქ ყოფნის 2 წლის განმავლობაში, ქართველ მასპინძელ ოჯახებში იცხოვრებენ.

მშვიდობის კორპუსთან საქართველო 2001 წლიდან თანამშრომლობს და, ამ ხნის განმავლობაში, უკვე 815-ზე მეტმა მოხალისემ იმსახურა ჩვენს ქვეყანაში.

**ალექსანდრე თევზაძე**: *„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შედგა ამერიკის მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა. ჩვენ ძალიან პოზიტიური გამოცდილება გვაქვს – უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში, მშვიდობის კორპუსი გვეხმარება ინგლისური ენის სწვლებასა და საორგანიზაციო მხარდაჭერაში, განსაკუთრებით რეგიონებში. წელს გადავწყვიტეთ, ჩვენი თანამშრომლობა გავაფართოოთ, ამ საქმიანობაში ჩაერთვება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ ახალგაზრდობის მიმართულება და, მომავალი 5 წლის განმავლობაში, იმედი გვაქვს, კიდევ უფრო პოზიტიური შდეგები გვექნება.“*

**კარმენ შიჰანი**: *„მშვიდობის კორპუსს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობის 17-წლიანი გამოცდილება აქვს. დღეს ამ თანამშრომლობის ახალ მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი. მშვიდობის კორპუსი აგრძელებს ამერიკელი მოხალისეების ვიზიტებს საქართველოში და, მათი მეშვეობით, უზრუნველვყოფთ როგორც ტექნიკურ დახმარებას, ინგლისურენოვანი განათლების კუთხით, ასევე ორგანიზაციების ინდივიდუალურ განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის კულტურული ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ამერიკელ და ქართველ საზოგადოებას შორის ხდება. ვამაყობთ იმ მიღწევებით, რაც მშვიდობის კორპუსს აქვს საქართველოში და სიამოვნებით გავაგრძელებთ თანამშრომლობას.“*

სასკოლო აქტივობა

# საზღვრებს გარეთ დარჩენილი სამშობლო

ს.პ.ს. „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს“ სკოლის მოსწავლეებმა სცადეს, საზღვრებს გარეთ დარჩენილი სამშობლო საქართველოში, სკოლის კედლებში დაებრუნებინათ. ტაოკლარჯეთი, ლორე, საინგილო (ისტორიული ჰერეთი) დავაბრუნეთ გულით, გონებით, ემოციით, იმ ფოტო და ვიდეომასალით, რომელიც პროექტის „საზღვრებს გარეთ დარჩენილი სამშობლოს“ ფარგლებში ვნახეთ, გადავიღეთ. მოვიწვიეთ აზერბაიჯანის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ქართული დასი სკოლაში, ვნახეთ მათი სპექტაკლი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რა დიდი შესაძლებლობა აქვს სწავლების ამ ფორმას – პროექტს – მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების და სხვა უნარისა და, რაც მთავარია, სწორი მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.

არ ვიცი,ვართ თუ არა პირველი სკოლა, რომელმაც საინგილოს ქართული თეატრის დასი საქართველოში მოიწვია, მაგრამ ეს არაა მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ აგრძნობინოს ყურადღება, პატივისცემა, მხარდაჭერა სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ ადამიანებს, რომლებიც ეროვნულ იდენტობას იცავენ. XXI საუკუნეში მოსწავლეთა მოტივაცია იმდენად არამდგრადია, რომ მათ მოკლევადიანი მიზნები სჭირდებათ. ამ პრობლემის კარგი გადაჭრაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება.

ვმუშაობ სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ გეოგრაფიის მასწავლებლად. სკოლაში პროექტებით სწავლების დიდი ტრადიციაა. აქ მუშაობის პერიოდში, ჩემი ხელმძღვანელობით, რამდენიმე პროექტი განხორციელდა: „ადამიანის გარემოზე ზემოქმედება“, „კლიმატის ცვლილება და გლაციალური ღვარცოფები“, „წყალსაცავები და მათი უარყოფითი გავლენა გარემოზე“, „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, „კეცხოველის პრემიის მოსაპოვებელ კონკურსში“ მონაწილეობა და სხვ.

მეცხრე კლასში საქართველოს გეოგრაფიის შესწავლისას, დაიბადა სურვილი, დღევანდელ სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის გარდა, კომპლექსურად შეგვესწავლა საზღვრებს გარეთ დარჩენილი, ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, როგორიცაა: თურქეთის ტერიტორიაზე ტაოკლარჯეთი, სომხეთის ტერიტორიაზე ლორე-ტაშირი და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჰერეთი-საინგილო. პროექტის სახელწოდებაა „საზღვრებს გარეთ დარჩენილი სამშობლო“.

გავანაწილეთ შესასწავლი თემები: რელიეფი, ჰავა, შიდა წყლები, ქალაქები, სოფლები, მოსახლეობა და მათი საქმიანობის სფერო, საქართველოსთან ამ ტერიტორიებზე მცხოვრებთა დღევანდელი კავშირების შესაძლებლობა.

ერთი წლის განმავლობაში მოსწავლეებმა ამ ტერიტორიების შესახებ არსებული საჭირო ლიტერატურა დაამუშავეს, გამოკვეთეს მნიშვნელოვანი პრობლემები. მოინიშნა დასაკვირვებელი ობიექტები. თურქეთის ტერიტორიაზე – მდინარეების: ჭოროხის, ოლთისისწყლის, პარხალის წყლის, ქარჩხალის, იმერხევისა თუ მტკვრის აუზები, მდინარე ჭოროხზე აგებული კაშხლები და მათი როლი რეგიონისათვის. მოსწავლეებმა ამ წყალსაცავების შექმნით, საქართველოსათვის სამომავლო ეკოლოგიური პრობლემის რისკის დანახვა და შედეგების განხილვა მოახერხეს. მოინახულეს: ოშკი, ბანა, ხანძთა, ტბეთი, დოლისყანა, იშხანი (რომელიც აღდგენილი დაგვხვდა), ოთხთას მონასტერი და ხახულის ტაძარი. შეისწავლეს დერინერის წყალსაცავის ტერიტორია და დააკვირდნენ იმ მონაკვეთს, სადაც წყლის დონის აწევის შემდეგ წყლით დაიფარება ქართული ეკლესია-მონასტრები, ციხეები, თუ უძველესი ქვის თაღოვანი ხიდები, როგორიცაა: ახალთას მონასტერი, კავკასიძეების ციხე, კოწახურას მონასტერი და კიდევ მრავალი ჰექტარი იმ მიწისა, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

მოინახულეს ლორე-ტაშირი, რომელიც დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, მდინარე დებედას ხეობაშია და მნიშვნელოვანი რეგიონი იყო ჩვენი სამშობლოსი. „დაბადა ამ მდინარემან სიცოცხლე“ – ბრძანა ვახუშტი ბატონიშვილმა, დღეს კი ქართული სახელმწიფოებრიობის კვალი აქ ნაკლებად იგრძნობა, თუ არ ჩავთვლით ტაძრებსა და ფრესკებში შემორჩენილ გაქვავებულ წარსულს.

ამ კუთხეს დღესაც ეტყობა ერეკლე მეფის დროინდელი სპილენძის საბადოებით აღორძინების მცდელობის კვალი. ჩვენი ავბედითი ისტორიის შედეგია, რომ დღეს მოძმე სომხეთის კეთილი ნების გამოხატულებაა, ახტალასა თუ ახპატის, სანაინისა თუ ქობაირის მონასტრები რომ შეგვიძლია ვნახოთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებისთვის ისტორიულ ჰერეთში სტუმრობა. საინგილოში სანახავი და შესასწავლი, როგორც იტყვიან, ბევრია – ქართული სოფლები, ქართველი – ქრისტიანი მოსახლეობა, ტაძრები და ციხეები, თაღოვანი ხიდები, ქართული სკოლები და დიდი კვალი ჩვენი ბედშავი ისტორიის. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლეებისათვის იმ ხალხთან კონტაქტი იყო, ვინც დღეს იქ სახლობს, ვინც არ მიატოვა საკუთარი მიწა-წყალი და ჩვენზე არანაკლებ უყვართ საქართველო.



მათთან ვისაუბრეთ და სტუმრად მოვიწვიეთ. მოწვევას მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრომ და 11 ივნისს გვეწვია კახის რაიონის ალიბეგლოს ქართული თეატრის დასი, რომელმაც ჩვენი სკოლის დარბაზში ვლადიმერ მალიაგინის „მამა არსენის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი აჩვენა. წარმოდგენამ დიდი ემოციური შთაბეჭდილება მოახდინა, მოსწავლეებს წარსულისადმი პატივისცემა გაუჩინა. სკოლამ ღირსეულად უმასპინძლა სტუმრებს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც დაისახა.

პროექტის დასრულების შემდეგ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის კვირეულის ფარგლებში, მოსწავლეებმა პროექტის პრეზენტაცია გამართეს, შექმნეს კედლის სტენდი, სადაც შესწავლილი ტერიტორიების საუკეთესო ხედებისა და ეკლესია-მონასტრების სურათები განათავსეს, მოამზადეს ვიდეოფილმი.

პროექტის დამუშავების პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ „საბავშვო უნივერსიტეტთან“. გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი გიორგი დვალაშვილი პროექტის წარმატებით განხორციელებაში დაგვეხმარა. სამივე რეგიონის მონახულება სწორედ მისი დახმარებით მოვახერხეთ.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ სკოლაში ძალიან აქტიურია პროექტებით სწავლება. მხოლოდ ბოლო 2 წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელდა, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: „სიკეთე გადამდებია“ და „მადლიერების დღეები პრომეთეში“. ხოლო, რაც შეეხება ამ პროექტს, ვფიქრობ, მისი განხორციელებით მიზანს მივაღწიეთ.

ცოდნა და გამოცდილება, რაც მოსწავლეებს პროექტზე მუშაობისას დაუგროვდათ, თანატოლებსაც გაუზიარეს. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ სწავლების ამ ფორმის წარმატებით გამოყენებას, რადგან არაფერი ისე კარგად არ ამახსოვრდებათ ბავშვებს, როგორც ემოციებით აღქმული და ვერაფერი ვერ უბიძგებს მოზარდს სწავლისაკენ ისე კარგად, როგორც კეთება და ინტერესი.

**ქეთინო მერებაშვილი**
*ს.პ.ს. „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს“*
*სკოლა-ლიცეუმის*
*გეოგრაფიის მასწავლებელი*





**სამოდელო გაკვეთილი**

# თემის სიღრმისეული გააზრებისთვის

გაკვეთილის გეგმა

| | |
|---|---|
| **მასწავლებელი** | ხათუნა ხალვაში |
| **საგანი** | ქართული ენა და ლიტერატურა |
| **კლასი** | IX |
| **გაკვეთილის ჩატარების თარიღი** | 01.06.2017 |
| **გაკვეთილის ტიპი** | ინტეგრირებული |
| **გაკვეთილის თემა** | ტოტალიტარული სივრცე და ადამიანის უფლებათა რღვევა – არქიფო სეთურის ქვეყანა ჭაბუა ამირეჯიბის „მოსე ზამთარაძის ნაამბობის“ („დათა თუთაშხია“) მიხედვით |
| **ხანგრძლივობა** | 45წთ |
| **გაკვეთილის მიზანი** | **ცოდნა**<br>სიღრმისეული გააზრება ჭაბუა ამირეჯიბის „მოსე ზამთარაძის ნაამბობისა“, ისტორიაში და სამოქალაქო განათლებაში მიღებული ცოდნის ტრანსფერი, ლოგიკურ მსჯელობაზე დაფუძნებული შეხედულებების ჩამოყალიბება და ოპონირება; მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირება.<br>**უნარები**<br>მოსწავლეთა არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, კონცეპტუალური ინფორმაციის გამოყოფის, განზოგადებისა და სისტემატიზირების უნარის განვითარება, მტკიცება და უარყოფა, ოპონირება, საგანთაშორის კავშირების წარმოჩენა, არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურება. |
| **შეფასება** | თვითშეფასება, მასწავლებლის შეფასება<br>• **პრესკონფერენციაში მონაწილეობის შეფასება** |

| | **III დონე** (8-10ქულა) | **II დონე** (5-7ქულა) | **I დონე** (1-4 ქულა) |
|---|---|---|---|
| მოსმენა | ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს. | ხშირად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს. | იშვიათად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს. |
| საუბარი | მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს. | ძირითადად, მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს. | მეტყველება არამკაფიოა და მსმენელებს უჭირთ გაგება. |
| არავერბალური კომუნიკაცია | შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები. | ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი. | იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს. |
| მონაწილეობა | უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებით და აზრების გამოთქმით. | ძირითადად, გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო. | მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას. |
| კოოპერაცია | თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს. | ძირითადად, თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში. ძირითადად, იცავს დისკუსიის წესებს. | იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს. |
| მოსაზრების არგუმენტირება | მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან. | მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები. | მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით. |

• **ინდივიდუალურად შევსებული თვითშეფასების სქემების ანალიზი**

წარმატებით გავართვი თავი შემდეგ სამუშაოს: .......................................................
წავაწყდი დაბრკოლებებს: .............................................................................
ალბათ მჭირდება..........................................................................................
ამისთვის გადავწყვიტე: ..................................................................................
არჩეული სტრატეგიით მივაღწიე მოსალოდნელ შედეგებს: ....................................

| | |
|---|---|
| **რესურსები** | 1. სახელმძღვანელო – ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი და სხვ., ქართული ენა და ლიტერატურა 9, გამომცემლობა „სწავლანი“ 2011;<br>2. კომპიუტერული ტექნიკა;<br>3. ინტერნეტრესურსები.<br>დამატებითი რესურსები:<br>ანტურაჟის შესაქმნელად ბუტაფორიული მიკროფონები. |
| **გაკვეთილის მოდელი** | გაკვეთილი პრესკონფერენცია |
| **გამოყენებული მეთოდები/ სტრატეგიები/ აქტივობები** | სიმულაცია;<br>ვიდეოკლიპის შექმნა და ჩვენება;<br>ინტერვიუ;<br>ბუკლეტის გამოცემა;<br>პრეზენტაცია;<br>ჩანაწერების გაკეთება. |
| **მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები** | მთელი კლასი ინდივიდუალური |

| | |
|---|---|
| **ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი** | <u>ქართული ენა და ლიტერატურა</u><br>**ქართ.IX.1.** მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.<br>• იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მიზეზ-შედეგობითი, ანალოგიაზე ან ინდუქციაზე დამყარებული არგუმენტები);<br>• მსჯელობისას იყენებს ციტატებს საინფორმაციო წყაროებიდან და მხატვრული ტექსტებიდან, სხვადასხვა ფაქტობრივ და სტატისტიკურ მონაცემებს და ა.შ.<br>**ქართ.IX.2.** მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.<br>• ამოიცნობს და განიხილავს ზეპირ ტექსტში პრობლემებს, რომელთა ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა რთულია;<br>• აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისს პრობლემის შესახებ გამართულ ჯგუფურ დისკუსიებში და, განსხვავებული თვალსაზრისის გასააზრებლად, სვამს კითხვებს;<br>• განსხვავებული თვალსაზრისების განხილვისას, იყენებს აუდიო და ვიზუალურ (მულტიმედია, ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციები და სხვა თვალსაჩინო მასალა) საშუალებებს.<br>**ქართ.IX.6.** მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.<br>• აანალიზებს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივ და კონცეპტუალურ ინფორმაციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;<br>• ახდენს სხვადასხვა სახის ტექსტში წარმოდგენილი მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების შედარება-შეპირისპირებას;<br>• შეაფასებს წაკითხულ ტექსტებში ასახულ თვალსაზრისებს განსხვავებული (თავისი, ოპონენტის, ნეიტრალური) პოზიციებიდან.<br><u>ისტორია</u><br>**ისტ.IX.4.** მოსწავლეს შეუძლია საქართველოში სოციალური ურთიერთობების ისტორიის კვლევა.<br>• ქრონოლოგიურად აჯგუფებს სხვადასხვა პერიოდის სოციალური ფენების წარმომადგენლებს და მსჯელობს მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;<br>• აანალიზებს რეფორმებით და რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურებში.<br><u>სამოქალაქო განათლება</u><br>**მოქ.IX.8.** მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებისა და პირობების კვლევა.<br>• თანაკლასელებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩევს და გაითამაშებს რომელიმე კონფლიქტურ სიტუაციას; განიხილავს მისი მოგვარების შესაძლო გზებს; არჩევს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტურს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას;<br>• თანაკლასელებთან ერთად ქმნის მშვიდობიანი გარემოსთვის საჭირო ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო დოკუმენტს *(მაგ.: ბუკლეტი, პლაკატი, სამახსოვრო)*;<br>• აკავშირებს საზოგადოებაში სამართლიანობის პირობებს მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებთან. |
| **მოსწავლეთა წინარე ცოდნა** | შემეცნების ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოყოფა;<br>სწავლა/სწავლების კომუნიკაციური პრინციპების ცოდნა, პრობლემების ერთობლივი მოგვარების გზების ძიება. |

## გაკვეთილის მსვლელობა

• **მასწავლებლის შესავალი სიტყვა – 3**

მასწავლებელი-პროდიუსერი იწყებს პრესკონფერენციას, საკლასო სივრცე ორგანიზებულია შესაბამისად, მოსწავლე ირგებს მისთვის კუთვნილ როლს (წამყვანი, მოპასუხენი, ანალიტიკოსები, კრიტიკოსი ჟურნალისტები, კორესპონდენტი, ფოტოგრაფი).

• **ვიდეორგოლი: ნაწყვეტები მხატვრული ფილმიდან „დათა თუთაშხია“, დოკუმენტური ფილმიდან „სტალინი“ – 7**

• **წამყვანის სიტყვა – 5**

ხაზს უსვამს ვიდეორგოლში წარმოდგენილ ლიტერატურულ-ისტორიულ პარალელებს, აწესებს რეგლამენტს, წარადგენს მოპასუხეებს: არქიფო სეთურსა და იოსებ სტალინს, წარმართავს პრესკონფერენციის მსვლელობას.

• **ინტერვიუ სეთურთან – 7**

კრიტიკოსი ჟურნალისტები არქიფო სეთურს წინასწარ მომზადებულ კითხვებს უსვამენ, პერსონაჟი ცდილობს, მოიგერიოს მათი კითხვები.

• **სიტყვა ანალიტიკოსს – 3**

ლიტერატურის კრიტიკოსი აჯამებს პრესკონფერენციის პირველ ბლოკს, ახასიათებს პერსონაჟს, აანალიზებს დასმულ პრობლემებს.

• **ინტერვიუ სტალინთან – 7**

კრიტიკოსი ჟურნალისტები იოსებ სტალინს წინასწარ მომზადებულ კითხვებს უსვამენ, ისტორიული პიროვნება ცდილობს, მოიგერიოს მათი კითხვები.

• **სიტყვა ანალიტიკოსს – 6**

ისტორიკოსი წარმოაჩენს საბჭოთა სინამდვილეს, დიქტატორულ რეჟიმს, გვიხატავს სტალინის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, აანალიზებს დასმულ პრობლემებს.
სოციოლოგი გვიჩვენებს მოპასუხეთა ფილოსოფიის სიღრმეს, საუბრობს ადამიანის უუფლებობაზე ტოტალიტარულ სივრცეში, აანალიზებს დასმულ პრობლემებს.

• **კორესპონდენტის ჩანიშვნები – 5**

კორესპონდენტი წარმოადგენს ძირითად საკითხებს, რომელსაც დაეფუძნება მისი სტატია, თითოეულ მონაწილეს უსვამს კითხვებს რეფლექსიისათვის.

• **შეფასება – 2**

პრესკონფერენციის შემდეგ, მასწავლებელი-პროდიუსერი შეაჯამებს შედეგებს და „თანამშრომლებს დააწინაურებს“, დაასახელებს ყველაზე ყურადღებიანს, ქარიზმატულს, დიპლომატიურს, ენერგიულს, დაწერს შეფასებებს.

ს/დ – **ესე:** „ჩემთვის საინტერესო გაკვეთილი“.

**ხათუნა ხალვაში**
*სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი*

# ვინ უნდა დაეხმაროს ბავშვს სასკოლო სწავლის მზაობის შექმნაში?!

**თამარ მუსერიძე-ჯავახიშვილი**
**ფსიქოლოგიის დოქტორი,**
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი**

ზოგადსაგანმანათლებო სკოლაში სწავლის პერიოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის განვითარებაში. ამ ეტაპის წარმატებით გავლით მიიღწევა განათლებასთან ინტეგრირებული განვითარება, რაც განაპირობებს მოზარდის შესაძლებლობების ფარგლებში, მის მაქსიმალურ, მთლიანობით გონებრივ-პიროვნულ ფორმირებას.

სასკოლო სწავლის დასაწყისიდანვე, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მოსწავლის სრულად ჩართვის აუცილებელი წინაპირობებია, ერთი მხრივ, ბავშვის ყოველმხრივი ფსიქოსომატური მომწიფება და მზაობა (მისწრაფება, დადებითი დამოკიდებულება) სწავლისადმი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვმა საკუთარი ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობისათვის უმტკივნეულოდ შეძლოს სასკოლო დატვირთვის ატანა, ხოლო, მეორე მხრივ, სკოლის, მასწავლებლების კომპეტენტურობა და მზადყოფნა იმისათვის, რომ თუ ბავშვს სასკოლო სწავლისათვის მზაობაში რაიმე მხრივ ჩამორჩენა აქვს, დროულად გაუწიონ კვალიფიციური პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახმარება, რათა სასკოლო სწავლის დასაწყისიდანვე გადაულახავ სიძნელეებთან შეხვედრისას, არ ჩამოუყალიბდეს დაბალი თვითშეფასება და სწავლისადმი უარყოფითი, ზერელე დამოკიდებულება, არ გახდეს სკოლის მოთხოვნებისადმი ინერტული და ინდიფერენტული, რაც შემდეგ შეიძლება მთელ სასკოლო პერიოდში გაჰყვეს. თანაც, ყოველივე ეს სკოლის მხრიდან უნდა გაკეთდეს ისე, რომ არ დაირღვეს პრინციპი – „არა ავნო“ (გადატვირთვით, შესაძლებლობებს ბევრად აღმატებული მოთხოვნებით), რასაც თანამედროვე განათლებაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მედიცინაში ჰიპოკრატეს ფიცს.

ბავშვი სკოლაში სწავლისათვის მზადაა-მომწიფებულია, როცა იგი ყველა ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობებით ისეთ დონემდეა განვითარებული, რომ შეუძლია ყოველდღიური დავალებების შესრულება და დისციპლინის დაცვა, რომელთა შესრულებასაც სასკოლო ცხოვრება მოითხოვს, ხალისით, გარეგანი ძალდატანების (მშობლისგან იქნება ეს თუ მასწავლებლისგან) გარეშე მიიღოს და განახორციელოს. ამ დროისათვის სკოლისწინარე ასაკის გარემოს თავისი ამოცანები ბავშვის განვითარებაში უკვე გადაჭრილი აქვს და ამ მიმართულებით რაიმე ახლისა და მნიშვნელოვანის გაკეთება აღარ შეუძლია. ამ დროიდან ბავშვი უკვე მზადაა განვითარების მომდევნო ასაკობრივ გარემოში – სკოლაში შესასვლელად, რომელიც მისგან მოითხოვს წინა ასაკობრივი გარემოს მიერ სამოქმედოდ მომზადებული ძალების ჩართვას სასწავლო აქტივობაში და ამით ხელს შეუწყობს მათ შემდგომ განვითარებას.

ადამიანის განვითარების პერიოდიზაციით გათვალისწინებული ყოველი ასაკობრივი საფეხური წარმოადგენს საყრდენს მომდევნო ასაკობრივი საფეხურისათვის და მის სრულ განვითარებაზე არის დამოკიდებული მომდევნო ასაკობრივ საფეხურზე გადანაცვლების სისრულე და ხარისხი. ამასთანავე, ადამიანის განვითარება გარკვეული პერიოდების მიხედვით თანდაყოლილად, წინასწარ განსაზღვრული, თანმიმდევრული პროცესია; შეუძლებელია რომელიმე საფეხურის გამოტოვება, ან მომდევნო საფეხურის სრულად გაშლა-განვითარება თუ ამისათვის აუცილებელი განვითარება წინა საფეხურზე შეფერხებულია. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა სკოლაში სწავლის პერიოდში, დასაწყისიდანვე სწავლის სრული მზაობის შექმნას.

სასკოლო ასაკში, სწავლა ბავშვის განვითარების წამყვანი ქცევაა. ამასთანავე, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, სწავლა არის თამაშიდან შრომაზე გარდამავალი ქცევა, რომელიც დასაწყისში თამაშივით სახალისო და მიმზიდველი უნდა იყოს ბავშვისთვის, ხოლო შემდეგ თანდათანობით უნდა მოხდეს გადასვლა სწავლის მიმართ ისეთივე სერიოზულ დამოკიდებულებაზე, როგორსაც შრომა მოითხოვს, რომლის ყველა შემადგენელი შეიძლება საინტერესო არ იყოს, მაგრამ ბავშვი მაინც პასუხისმგებლობით უნდა ასრულებდეს მას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სკოლისგან იმ პირობების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდის საქმიანობაში ამ ასაკში განვითარების წამყვანი ქცევის – სწავლის უპირატესობას (როგორც დროის, ისე სერიოზული დამოკიდებულების მიხედვით), წინა ასაკში განვითარების წამყვან ქცევასთან – თამაშთან (აქ თამაშთან ერთად იგულისხმება გართობა, დროის თავისუფლად გამოყენება...) შედარებით და ხელს შეუწყობენ დროულად „სწავლობანას თამაშის“ პრევენციას, რისი მიდრეკილებაც სასკოლო სწავლისთვის მოუმწიფებლებს გადმოჰყვებათ წინა ასაკიდან. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება სკოლაში სწავლის პროცესში, სტუდენტობის პერიოდში სწავლისა და მომავალში პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავება ანუ გადასვლა სტუდენტური სწავლისა და პროფესული შრომისთვის მზაობაზე.

სხვა მკვლევრების თვალსაზრისითაც, იმ დროს როცა სკოლის მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს /სწავლა, საოჯახო საქმე/ და მათ აყენებენ პირველ ადგილზე თამაშთან და გართობასთან შედარებით, ხდება ძირითადი სამუშაო ჩვევების შეძენა და შრომისმოყვარეობის ფორმირება, რაც ასევე გრძელდება ზრდასრულ ასაკშიც (რ. ჰეივინჰერსტი). სასკოლო სწავლის მზაობის უკმარისობის უყურადღებოდ დატოვებას მოჰყვება სწავლაში ჩამორჩენილობა არა მარტო სკოლის პერიოდში, არამედ უმაღლეს სასწავლებელშიც. სპეციალურ გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ სტუდენტების უმეტესობას არა აქვს ლექციის მოსმენის და გაგების უნარი, წაკითხული სამეცნიერო ლიტერატურის არსებითი ნაწილის მოკლედ გადმოცემის უნარი, მათგან 28,8% არ შეუძლია აუდიტორიის წინაშე საუბარი, 18,6% არ შეუძლია კამათში ჩართვა, 16,3% არ შეუძლია პრობლემათა ანალიტიკური შეფასება. სტუდენტების მხოლოდ 37,5% ცდილობს კარგად სწავლას, მაგრამ მათგან 67,2%-ს ეს არ გამოსდის (ზიმნაია,1997).

სკოლაში სწავლის მზაობაში კონკრეტულად იგულისხმება:

- ფიზიკური ორგანიზმის ისეთი განვითარება, რომ ბავშვს უმტკივნეულოდ შეეძლოს იმ დატვირთვის ატანა, რომელსაც გაკვეთილის განმავლობაში ერთ ადგილზე, ძირითადად ერთნაირ მდგომარეობაში ჯდომა მოითხოვს; იგულისხმება აგრეთვე, წერის დაუფლებისათვის აუცილებელი, მხრის მსხვილი და ხელის წვრილი კუნთების კოორდინირებული მოძრაობის უნარის სათანადო განვითარება.
- სასკოლო სწავლის მზაობისათვის აუცილებელი ფსიქიკური შესაძლებლობების დონის განსაზღვრისათვის კი მათ ორ ჯგუფს განიხილავენ. ყველაფერი, რაც ზრდასრული ადამიანის ფსიქიკაში მოიაზრება და მარტივი, განვითარების მზაობაში მყოფი ჩანასახის სახით, თანდაყოლილად, მემკვიდრეობით უკვე ახალშობილთანაც არის მოცემული, შეიძლება ორად დაჯგუფდეს, რომელთა შემდგომ განვითარებაზე მემკვიდრეობისა და გარემოს (სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო იქნება თუ სკოლის გარეშე ფართო სოციალური გარემო ოჯახის ჩათვლით) გავლენის თანაფარდობა სხვადასხვაგვარია (შ. ჩხარტიშვილი).
- ერთ ჯგუფში განიხილავენ სენსომოტორულ (შეგრძნების ორგანოები და მოტორული აპარატი) და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რომლებსაც ქცევის იარაღებს, ქცევის ინსტრუმენტებსაც უწოდებენ, რადგან მათ ხარისხსა და თავისებურებებზეა დამოკიდებული ადამიანის მოქმედების ეფექტურობა; ახალშობილის ასაკობრივი ზრდის მსვლელობაში ვითარდება შეგრძნების ორგანოები, გარემოსთან ადაპტაციის უნარი, ცნობიერება, უმაღლესი შემეცნებითი ფსიქიკური ფუნქციები, ინტელექტუალური შესაძლებლობები, ნიჭიერება. სასკოლო სწავლა მეტწილად ინტელექტუალური პროცესია, რომელიც გულისხმობს გაგებას და გააზრებას და არა მექანიკურ დაზეპირებას; ამიტომ მოითხოვს იმის უნარს, რომ ბავშვს შეეძლოს გაკვეთილზე ყურადღებით ყოფნა, მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალის აღქმა-გაგება-დამახსოვრება. მოსწავლეს უნდა შეეძლოს თავისი ყურადღებისა და მეხსიერების აქტიური მართვა, პირველ კლასში სწავლება-სწავლის პროცესის მოთხოვნების შესატყვისად. ამასთანავე აუცილებელია მოსწავლეს რამდენადმე მაინც ჰქონდეს მომწიფებული ობიექტივაციის უნარი. ობიექტივაციას დ. უზნაძე უწოდებს იმ ფსიქიკურ აქტს, რომლის საშუალებითაც ჩვენ გარემოდან გამოვყოფთ რომელიმე მოვლენას, ან მოვლენიდან გამოვყოფთ მის რომელიმე შემადგენელ ნაწილს და საგანგებოდ ვაკვირდებით მისი უკეთესად, სრულყოფილად შესწავლის მიზნით. დ. უზნაძის აზრით, სკოლაში სწავლისთვის ბავშვის ინტელექტუალური მზაობის ძირითად მომენტს, სწორედ ობიექტივაციის უნარის სათანადო მომწიფება შეადგენს.
- ფსიქიკურ შესაძლებლობათა მეორე ჯგუფში განიხილავენ სოციალურ-ემოციურ, პიროვნულ განვითარებას, რომელთაც ქცევის წყაროებს, ქცევის მამოძრავებელ ძალებს უწოდებენ, რადგან ისინი მართავენ, ისინი იყენებენ პირველ ჯგუფში გაერთიანებულ ე.წ. „ინსტრუმენტებს“ ამა თუ იმ ქცევის განხორციელებისათვის. ეს ძალები ადრეულ ასაკში წარმოდგენილია დაბალი (განვითარების ადრეულ საფეხურზე წარმოშობის თვალსაზრისით) არაცნობიერი ფსიქიკური წარმონაქმნებიდან მომდინარე იმპულსების სახით (ლტოლვა, ინსტინქტი, აფექტი, დაჟინებულობა, ჯიუტობა...); მათ ბაზაზე ინდივიდის სოციალურ-პიროვნული განვითარების პროცესში გარემოს, აღზრდის გავლენით ვითარდება თავშეკავების უნარი და ნებისყოფა (თვითრეგულაციის უნარი), ემოციური ამტანობა და კომპეტენტურობა, შემწყნარებლობა, ალტრუიზმი, სოციალურ ურთიერთობათა კონვენციური და ეთიკური ნორმების დაცვისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რელიგიურობა და ა.შ.

სენსო-მოტორული და ინტელექტუალური შესაძლებლობები ძირითადად მემკვიდრეობითაა განსაზღვრული. სკოლამდელ ასაკშივე იწყება სპონტანურად მათი გამოვლენა-განვითარება და სასკოლო ასაკისთვის აღწევს იმ დონეს, რომელიც აუცილებელია სისტემატური, მიზანდასახული, განვითარების მასტიმულირებელი სწავლისათვის. გარემოს, სწავლა-აღზრდას არ შეუძლია ერთი სახის ნიჭი სხვა მიმართულებით გარდაქმნას. მაგალითად, ხატვის, ან მათემატიკის ნიჭი გარდაქმნას პოეტის ან მუსიკოსის ნიჭად, არ შეუძლია საშუალო ნიჭიერების უმაღლეს ნიჭიერებად, ტალანტად გარდაქმნა; ადამიანის ყოველგვარი ნიჭიერების (სპორტული, სახელოვნებო, თეორიული და ა.შ.) სახეობა და ხარისხი, გამოვლენის ქვედა და შესაძლო მაქსიმალური განვითარების ზედა ზღურბლი (თანდაყოლილად არსებული პოტენციალი) ძირითადად შინაგანად, მემკვიდრეობითაა განსაზღვრული, მაგრამ მოხდება არსებული შინაგანი პოტენციალის სრული რეალიზაცია, მიახლოება განვითარების ზედა ზღურბლთან თუ დარჩება ქვედა ზღურბლის ფარგლებში, ან არსებული ნიჭის, მიდრეკილებისაგან სრულიად დაცილებულ საქმიანობებში მინიმალური შედეგებით გაიხარჯება, ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ ცხოვრების პირობები, სასწავლო-აღმზრდელობით გარემო რამდენად შეუწყობს ხელს ბავშვს კარგად სწავლაში, რამდენად უბიძგებს მას დამოუკიდებლად სწავლისა და თვითგანვითარებისაკენ. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ნამდვილ, შინაგან სწავლას და ზერელე, ფორმალურ სწავლას. ნამდვილი სწავლის პროცესში ბავშვის განვითარების ყოველ ასაკობრივ საფეხურზე ცოდნის დაუფლების პროცესში ხდება თანდაყოლილი ინტელექტუალური პოტენციალის სრული გაშლა, ბავშვს შეუძლია უფრო და უფრო რთული მასალის გაგება და ათვისება, რაც გამორიცხულია სასკოლო სწავლისათვის მოუმწიფებლობის შემთხვევაში, რადგან ის ბავშვს უბიძგებს ზერელე, ფორმალური სწავლისაკენ.

ადამიანის შესაძლებლობათა სოციალურ-პიროვნული ანუ ქცევის მამოძრავებელი ძალების განვითარება კი მემკვიდრეობაზე უფრო მეტად გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების (საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი) გვერდით შეიძლება მისი საწინააღმდეგო გავლენების შემცველი სოციალური ჯგუფებიც მოქმედებდნენ (სკოლის გარეშე ახალგაზრდული გაერთიანებები, სანათესაოს და სამეზობლოს თანატოლთა გაერთიანებები, არასწორი ოჯახური აღზრდა და ა.შ.), რომლებიც მოზარდის თანდაყოლილად მოცემულ პიროვნული განვითარების დადებით პოტენციალს-სოციალურობის თანდაყოლილ გრძნობას (ა. ადლერი) ასოციალური განვითარების მიმართულებას მისცემენ. ადრეული დონის არაცნობიერი ფსიქიკური წარმონაქმნები: სხეულებრივი ლტოლვები, ეგოისტური მოთხოვნილებები, აფექტები და ა.შ., სრულად ბატონობენ ბავშვზე დაბადებიდანვე და მართავენ მის ქცევას; მხოლოდ ასევე ადრეული ასაკიდან სწორი აღზრდის გავლენით შეიძლება თანდათანობით მოხდეს მათგან თავშეკავების უნარის გამომუშავება და მათი ენერგიის გადართვა-სუბლიმაცია ასაკის შესატყვის მაღალ სოციალურ მიზანში – სასკოლო სწავლის მზაობაში. ეს პროცესი ადრეული ბავშვობიდანვე სპეციალური აღმზრდელობითი ზემოქმედების გარეშე, იშვიათად და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება განხორციელდეს. მეორე ჯგუფში შემავალი, პიროვნების მაფორმირებელი, ქცევის მამოძრავებელი ძალების აღზრდა ბევრად უფრო რთული პროცესია, ვიდრე ინტელექტუალური განვითარებისთვის სწავლების გზით ხელის შეწყობა, რადგან ინტელექტუალურ განვითარებას მყარი თანდაყოლილი საფუძველი აქვს, რომელსაც დაეშენება სწავლის შედეგად გაზრდილი პოტენციალი; ქცევის მამოძრავებელი ძალების აღზრდის შემთხვევაში კი ბავშვს სჭირდება დახმარება იმაში, რომ თვით მის შიგნით არსებული დაპირისპირებული ძალებიდან (ბავშვური მისწრაფებები და მათგან თავშეკავება სასკოლო მოთხოვნების სასარგებლოდ) დადგეს კეთილი ადამიანური საწყისის მხარეზე, თავი შეიკავოს, დაძლიოს თავისი ბავშვური მისწრაფებები, ინტელექტუალური ძალები სრულად ჩართოს სასწავლო საქმიანობაში და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

ინტელექტუალურ განვითარებას განიხილავენ, როგორც ვერტიკალურ ხაზზე მოძრავ აღმავალ პროცესს, რომელშიც სასკოლო სწავლით განსაზღვრულ წინსვლას კი არ აფერხებს არამედ ემატება, ამაღლებს სკოლის გარეშე გამოცდილება, თუნდაც ასოციალური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაზე ინტელექტის მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პიროვნულ განვითარებას აფერხებს.

სოციალ-პიროვნულ განვითარებას კი გამოხატავენ წრეხაზის სახით, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია მოზარდი თავისი მყიფე, კეთილი ადამიანური საწყისით და მასთან დაპირისპირებული მისწრაფებებით, ხოლო წრეხაზზე განლაგებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი, ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო გავლენათა შემცველი წყაროები: სკოლა, ოჯახი, სოციალური ან ასოციალური მიმართულების ახალგაზრდული, თუ სხვა სახის დაჯგუფებები, რომლებსაც შეუძლიათ „განიზიდონ“ მოზარდის ყურადღება სასწავლო საქმიანობიდან, შეუქმნან რომელიმე, სკოლის წესრიგისა და სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მქონე ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, მავნე ზემოქმედება მოახდინონ მის პიროვნულ ფორმირებაზე და სოციალურად მიუღებელი ქცევებისაკენ წარმართონ მისი თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის ტენდენცია (ა. მასლოუ).

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არქაული მემკვიდრეობის სახით, შენარჩუნებულია წინა საზოგადოებრივ ფორმაციათა ცხოვრების წესის შესატყვისად ჩამოყალიბებულ ადამიანთა პიროვნული ნიშან-თვისებები, ისე, რომ დღეს ჩვენს ფართო სოციალურ გარემოში შეიძლება მოზარდს შეხვდეს ველურის, მონათმფლობელის, მონის, რაინდის, ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი მოქნილი და გაიძვერა, დაუნდობელი ტიპის თავისებურებებს მიმსგავსებული ხასიათის ადამიანები და გავლენა მოიპოვონ მასზე, თუ ოჯახი და სკოლა არ დაიცავს ბავშვს მათგან. ეს საფრთხე განსაკუთრებით ძლიერია თუ ბავშვს, სწავლისათვის მოუმწიფებლობის გამო, თავიდანვე შეექმნა უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი, სკოლაში დადის, მაგრამ არ სწავლობს, ხშირად აცდენს გაკვეთილებს; ამ დროს ის იზრდება და ვითარდება იმ გავლენების შესატყვისად, რომელიც მომდინარეობს სკოლის გარეშე, მისი უშუალო საცხოვრებელი გარემოდან, რომელიც ასაკობრივი ზრდის შესაბამისად ფართოვდება და ანტისოციალური განვითარების მასტიმულირებელ გავლენებსაც მოიცავს. ბავშვი, ჩვეულებრივ, სპონტანურად იმ გავლენებს ემორჩილება, რომელთა შესატყვისი აქტივობით სიამოვნებას და კმაყოფილებას განიცდის. მათგან ბავშვის დაცვის ერთადერთი გზა არის სკოლამდელ ასაკშივე, სწორი აღმზრდელობითი ზემოქმედებით სკოლაში მისვლის დროისათვის ან შემდგომ, რამდენადაც შესაძლო იქნება მოკლე ვადებში, სკოლაში სწავლისათვის სრული მზაობის შექმნა. ამრიგად, გვაქვს სასკოლო სწავლისათვის მომწიფებისა და მზაობის 3 ასპექტი:

## მშობელთა კრება

1. ფიზიკური მომწიფება;

2. სენსომოტორული და ინტელექტუალური (ქცევის ინსტრუმენტების) მომწიფება;

3. სოციალურ-ემოციური, პიროვნული (ქცევის მამოძრავებელი ძალების) მომწიფება, რომელიც ინტელექტუალურ ძალებს, შემეცნებით პროცესებს მიმართავს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მოთხოვნების შესრულებისაკენ და დაიცავს ბავშვს გარემოდან მომდინარე ასოციალური გავლენებისაგან.

სასკოლო სწავლის მზაობის შეფასება უნდა ხდებოდეს კომპლექსურად პედიატრის, ფსიქოლოგის, პედაგოგიკის სპეციალისტის მიერ, ამასთანავე მნიშვნელოვანია გამოცდილ პედაგოგთა აზრის გათვალისწინება. პედიატრმა დასკვნა უნდა გამოიტანოს ბავშვის ყოველმხრივი სამედიცინო შესწავლის მასალების გაანალიზების საფუძველზე.

ფსიქოლოგისგან განსაკუთრებით გულმოდგინე შესწავლას მოითხოვს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით გონებრივი განვითარების დონე, შემეცნებითი ინტერესები, ემოციური და სოციალური განვითარების თავისებურებანი, თვითშეფასება და პრეტენზიების დონე, ცვალებად სიტუაციებთან ადაპტირების უნარი და ა.შ. აუცილებელია განვითარების ანამნეზის, ბიოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება მშობლებისა და სკოლამდელი აღმზრდელობითი დაწესებულებისაგან.

სასკოლო სწავლისთვის მზაობის ნიშნებია:

**გონებრივი მომწიფების მხრივ:**

1. დიფერენცირებული აღქმა (პერცეპტული მომწიფება).

2. ყურადღების წინასწარგანზრახული კონცენტრაციისა და ობიექტივაციის უნარი.

3. ანალიზური აზროვნების უნარი (არსებითი ნიშნებისა და მიმართებათა წვდომის უნარი).

4. ნიმუშის რეპროდუქციის უნარი.

5. სინამდვილისადმი რაციონალური მიდგომის უნარი (რეალობის დომინირება ფანტაზიაზე).

6. ლოგიკური დამახსოვრების უნარი.

7. მიზნის მიღწევის ინტერესი.

8. მოსმენის და მოსმენით გაგების უნარი.

9. ფაქიზი მოტორიკისა და ოპტიკურ-მოტორული კოორდინაციის უნარი.

**სოციალურ-ემოციური, პიროვნული მომწიფების მხრივ:**

1. ემოციური ამტანობის, მდგრადობის, ფრუსტრაციის ტოლერანტობის სიჭარბე იმპულსურ ქცევებთან შედარებით.

2. მოსწავლის სოციალური როლის აღება საკუთარ თავზე, თანატოლებთან ურთიერთობის სურვილი და მათთან ურთიერთობასა და ურთიერთდახმარებისას სკოლის დისციპლინისა და მოთხოვნების დაცვა. სასკოლო ყოფაქცევის წესების, დისციპლინის დაცვა მიაჩნია დ. უზნაძეს თავშეკავების უნარის, ნებისყოფის, პიროვნების აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად.

სხვადასხვა ქვეყნებში სასკოლო სწავლისთვის პირველკლასელთა მზაობის შემოწმებამ აჩვენა, რომ მათგან მხოლოდ ნაწილს აქვს სასკოლო სწავლის სრული მზაობა, სამივე მიმართულებით. ამას უწოდეს სასკოლო სწავლისათვის ჰარმონიული მომწიფება. ამ დროს ფსიქიკურ შესაძლებლობათა ორივე ჯგუფი ჩართულია სწავლაში, ერთმანეთს აძლიერებს და შედეგიც მაქსიმალურია, რადგან ცოდნის ათვისების პროცესში, ყოველი სასწავლო საგნიდან გამომდინარე, აღმზრდელობითი ზემოქმედება მთლიანად მოიცავს და აღზრდის მიზნების შესატყვის მიმართულებას აძლევს მოზარდის გონებრივ-პიროვნულ განვითარებას. ამ შემთხვევაში, როგორც ლ. ვიგოტსკი აღნიშნავს, „სწავლებაში ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს მოჰყვება ორი ნაბიჯით წინსვლა ბავშვის საერთო განვითარებაში“.

ბავშვის განვითარების უთანაბრობის და გარემო პირობების გართულებისა და მზარდი მრავალფეროვნების გამო სასკოლო სწავლისათვის მზაობის ჩამოყალიბების ვადები მეტად ინდივიდუალურია და საპასპორტო ასაკით არ განისაზღვრება. არა მხოლოდ ერთ წელს, ერთ თვეს და ერთი და იმავე დღეს დაბადებულ ბავშვებს, არამედ იდენტურ ტყუპებსაც კი, შეიძლება სკოლაში სწავლის მზაობა ერთნაირი არ ჰქონდეთ, განსაკუთრებით სოციალურ-ემოციური მომწიფების თვალსაზრისით. სკოლაში სწავლისთვის მზაობის პრობლემა არსებობდა მაშინაც, როცა სწავლა იწყებოდა 9-10 წ. ასაკში. მაგრამ ეს პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა და გავრცელდა მას შემდეგ, რაც საზოგადოების მეცნიერულ-კულტურული განვითარების აჩქარებულმა ტემპმა, უმაღლეს სასწავლებელში პროფესიის ათვისებისათვის მოითხოვა უფრო ფართო, ღრმა და აზროვნების უნარის მრავალმხრივ განმავითარებელი ცოდნის ათვისება ზოგად-საგანმანათლებლო სკოლიდანვე. XX ს. 50-იანი წლებიდან ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, მეცნიერების სწრაფი აღმავლობის პარალელურად, წინა პერიოდთან შედარებით, ახალგაზრდა თაობის განვითარების აჩქარება-აქსელერაცია. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ აქსელერაცია შეეხო ძირითადად სხეულებრივ და ინტელექტუალურ განვითარებას, სოციალურ განვითარებაში, პირიქით, წინა წლებთან შედარებით, ჩამორჩენა დადასტურდა. მიუხედავად ამისა, გონებრივი განვითარების აქსელერაციის დადგენას მოჰყვა სასკოლო ასაკის დაწევა ბევრ ქვეყანაში. საქართველოში, 1929 წ. დ. უზნაძის გამოკვლევების საფუძველზე, 8 წლის ნაცვლად, 7 წლით განისაზღვრა სკოლაში შესვლის ასაკი, ხოლო 1967 წ. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ (შ. ჩხარტიშვილი, მ. ზარანდია) სასკოლო სწავლება-სწავლა დაიწყო 6 წ. ასაკიდან. ჩვენთან იყო 5 წლიდან სასკოლო სწავლების დაწყების ცდაც, რომელიც მალე ისევ ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. ამ დროს გამოვიდა შესანიშნავი გზამკვლევი მასწავლებლებისათვის „5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი“ (ნ. ლაბარტყავა, მ. მელიქიშვილი, თ. კერძაია), რომელიც დღემდე დიდ დახმარებას უწევს სასკოლო სწავლის მზაობის საკითხებით დაინტერესებულ მასწავლებლებს.

შემდგომი გამოკვლევებით, აქსელერაციის პარალელურად, დადასტურდა რეტარდაციის – შენელებული ტემპით, გვიანი განვითარების ფაქტებიც. როგორც ეს ზოგჯერ ფიზიკურ განვითარებაშიც ხდება: დაწყებით კლასებში შეიძლება კლასში ყველაზე დაბალი იყოს ბავშვი, დამამთავრებელ კლასებში კი უცბად მოიმატებს სიმაღლეში. როგორც აქსელერაცია, ისე რეტარდაცია გარკვეულ პრობლემებს უქნის ბავშვის განვითარებას, რომელთა დაძლევაში აუცილებელია სკოლისგან დახმარება. კერძოდ, აქსელერირებული ბავშვები დაწყებით კლასებში საუკეთესონი არიან სწავლაში, ქებას და აღფრთოვანებას იმსახურებენ; გერმანელებმა ასეთ ბავშვს ვუნდერკინდი უწოდეს. საწყისი დიდი წარმატების გამო მათ უყალიბდებათ მაღალი თვითშეფასება, სხვებზე ბევრად უკეთესობის განცდა, რომლის დათმობაც ძალიან უძნელდებათ, როდესაც ინტელექტუალური განვითარება ნორმალურ ტემპში გადადის და სხვებისაგან ისე აღარ გამოირჩევიან, როგორც ადრე. თუ გარემომ სათანადო დახმარება არ გაუწია ბავშვს, შეიძლება ეს ცუდად აისახოს როგორც სწავლისადმი დამოკიდებულებაზე, ასევე მის პიროვნულ განვითარებაზე.

რეტარდაციის შემთხვევაში პირიქით ხდება. საწყისი დაბალი აკადემიური წარმატების გამო ბავშვს უყალიბდება დაბალი თვითშეფასება და იმ დროისთვის, როდესაც ინტელექტუალური განვითარება ნორმალურ ასაკობრივ დონეს აღწევს, უძნელდება წინა წლებში ჩამორჩენის გადალახვა და გამყარებული დაბალი თვითშეფასების შეცვლა. არც თვითონ მოზარდს და არც გარშემო მყოფებს აღარ სჯერათ მისი ინტელექტუალური „ფერისცვალების“ და არის იმის საფრთხე, რომ მისი ამოძრავებული გონებრივი აქტივობა სკოლის გარეშე ასოციალური ინტერესებისკენ წარიმართოს.

ამ სფეროში არსებული კომპონენტების სიმრავლე და სირთულე აფერხებს სასკოლო სწავლისათვის მზაობის ფორმირების ერთიანი ასაკობრივი სტანდარტის შემუშავებას, რაც განაპირობებს ამ საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგიაში განსხვავებული შეხედულებების არსებობას:

1. ბავშვის საერთო მზაობა სკოლაში სწავლის დაწყებისათვის ისეთი მაინც უნდა იყოს, რომ სკოლის გავლენით მალე მოხდეს მისი დასრულება და ნამდვილ შინაგან სწავლაზე გადასვლა (დ. უზნაძე);

2. ჯერ მიღწეული უნდა იქნეს სასკოლო სწავლისათვის საჭირო ინტელექტუალური მომწიფება და მერე განხორციელდეს სწავლება (ჟ. პიაჟე);

3. სწავლება წინ უნდა უძღოდეს განვითარებას და აგებული უნდა იყოს დამხმარე კონსტრუქციების, საფეხურებად ფრაგმენტირებული დახმარების (ხარაჩოების) საშუალებით, განვითარების უახლოეს ზონაში არსებული პოტენციური ძალების აქტუალურ შესაძლებლობებში გადმოყვანის მიზნის შესატყვისად (ლ. ვიგოტსკი);

4. ბავშვს ნებისმიერ ასაკში შეიძლება ვასწავლოთ ნებისმიერი სირთულის მასალა, თუ მას ბავშვის შესაძლებლობების შესატყვის ფორმაში მოვაქცევთ და სპირალისებური სწავლების პრინციპით ვასწავლით. ეს პრინციპი გულისხმობს მხოლოდ წინა კლასებში ნასწავლის არსებითად გამეორების შემდეგ გადასვლას ახალ მასალაზე (ჯ. ბრუნერი);

5. სკოლაში სწავლისთვის დადგენილ ასაკში, ბავშვი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც ის ამ დროისთვის არის, შევუქმნათ საჭირო პირობები იმისათვის, რომ მან თვითონ მიაგნოს თავის თავში, ყოველ ადამიანში არსებულ, კეთილ ადამიანურ საწყისს; დავეხმაროთ, რომ თვითონვე განავითაროს იგი და დაადგეს სწავლაში თვითაქტუალიზაციის, თვითრეალიზაციის გზას, ხშირად მივცეთ თავისი სასწავლო აქტივობით „პიკის განცდის“ (ა. მასლოუს ტერმინი) საშუალება, რითაც დავიცავთ „იონის კომპლექსის“ – სიზარმაცის განვითარებისაგან (ა. მასლოუ, კ. როჯერსი) და ა.შ.

სასკოლო სწავლის მზაობის საკითხებზე მეცნიერების ასეთი ინტენსიური მუშაობა და შეხედულებათა მრავალფეროვნება მიუთითებს ადრეული ასაკიდანვე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების დიდ მნიშვნელობაზე სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ჭეშმარიტი განათლებულობის მიღწევისათვის, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნულ პასუხისმგებლობას და შემოქმედებით მიდგომას პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობებისადმი. საქართველოში 2006 წლის დეკემბრის ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების გუდაურის ეროვნული კონსულტაციის შედეგების საფუძველზე, 2007 წლის 26 იანვარს, დაარსდა ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ეროვნული ალიანსი, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო საქართველოს მთავრობისათვის ადრეული ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შერჩევასა და განხორციელებაში, უზრუნველეყო საქართველოში ყველა ბავშვისათვის (0-6 წლის ასაკის) შემეცნებითი და სოციოემოციური განვითარების პოტენციალის სრულყოფილი რეალიზაცია სკოლისათვის მომზადების მიზნით და მსოფლიოში აღიარებული ადრეული ასაკის ბავშვთა ძირითადი უფლებების დაცვა.

სასკოლო სწავლისათვის მოუმწიფებლობის მიზეზების შესახებ არსებულ გამოკვლევებში პირველ ადგილზე დასახელებულია ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებანი. მას მოჰყვება: 2. ბავშვის განვითარების დარღვევები; 3. ბავშვის ხასიათის ნევროზული განვითარება; 4. ცენტრალური ნერვული სისტემის ადრეული დაზიანება; 5. დაბალი გონებრივი შესაძლებლობები. განვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ XX ს. შუა წლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეპოქების თავისებურებათა გავლენით დაქვეითდა ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციები, რაც გამოიწვია ოჯახის სტრუქტურაში ისეთმა ცვლილებებმა, რომელთა გამოც მომრავლდა ოჯახები, რომლებსაც უწოდებენ „არაოჯახურ“ ოჯახს, კონფლიქტურ ოჯახს, დეფექტურ ოჯახს, საღამოს ოჯახს, მცირეთაობიან ოჯახს, მარტოხელა მშობლის ოჯახს და ა.შ. ასეთი ოჯახებიდან ხშირად ბავშვი სკოლაში სწავლისათვის გონებრივად მოუმწიფებელი და პიროვნულ განვითარებაში „პრობლემების“ მქონე მოდის. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა თავის თავზე აიღეს ადრეული ასაკიდანვე ბავშვის ფსიქოსომატური ჯანმრთელობისა და განათლების უფლებების დაცვა და ადრეული ასაკიდან სკოლაში სწავლის მზაობის შექმნისათვის საჭირო რეფორმების გატარება განათლების სისტემაში.

საქართველოში ბავშვთა აღზრდის შესახებ 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა ადრეული ასაკის ბავშვების მშობლებში/ოჯახებში ბავშვზე ზრუნვის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ცოდნის და პრაქტიკის დეფიციტი; აღმოჩნდა, რომ მშობელთა განათლება და ადრეული სტიმულაციის პრაქტიკა არასაკმარისია სულ მცირე ოჯახების ორ-მესამედში; ოჯახთა 56%-ს არ აქვს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებისათვის აუცილებელი საკმარისი რესურსი (წიგნები, სათამაშოები); ასევე არაადეკვატურია მამების ჩართულობა ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების პროცესში; ოჯახების 60% ფიზიკურ დასჯას განიხილავს, როგორც ხშირ და მიღებულ პრაქტიკას, რის გამოც მაღალია ბავშვებისათვის ოჯახში მიყენებული ფიზიკური ზიანის სიხშირე (11%).

ნებისმიერი ჩარევა ადრეული ასაკის ბავშვთა საკითხებში შეუძლებელია ოჯახის, საზოგადოების და იმ ფართო სოციოეკონომიკური და პოლიტიკური გარემოსაგან იზოლირებულად იყოს განხილული, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს. ამდენად, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ადრეული ასაკის ბავშვების „მშობელთა განათლება“ და „სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის დაწყებითი საფეხურის აღჭურვა სკოლისათვის მზაობის დროულად შექმნა-დასრულებისათვის და მისი შემოწმებისათვის საჭირო რესურსებით“ განიხილება, როგორც გამორჩეული სტრატეგიები ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად (პატრის ენგლი, საქართველოს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების კონსულტაციები, 2007).

მოგვიანებით, ამავე საკითხებზე მკვლევართა სხვა ჯგუფის მუშაობამ აჩვენა, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა (ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა, თბილისი, 2012). აღნიშნულია, რომ საქართველოში ბავშვების განვითარების დონე ჩამოუვარდება მსოფლიო სტანდარტებს, რაც მშობლების მიერ ბავშვისათვის დამოუკიდებლობის მიუცემლობის ბრალია. მშობლებმა არ იციან, როგორ უნდა იზრუნონ ბავშვის განვითარებაზე და თუნდაც სკოლისათვის მომზადებაზე. ეს კარგად ჩანს კვლევაში მოტანილი ერთ-ერთი მშობლის ნათქვამში: „მე მას (ბავშვს) ვკითხე, უნდოდა თუ არა სკოლაში სიარული. ავუხსენი, რომ სკოლაში უნდა იჯდეს მერხზე გაუნძრევლად, უნდა უსმინოს მასწავლებლებს, უნდა ისწავლოს, რომ იქ ვერ ითამაშებს, ვერ შეჭამს და ვერ ირბენს“.

იქვე აღნიშნულია, რომ დღეისათვის არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და არც სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ სკოლისათვის მზაობის შემოწმების რესურსი, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემდა, საჭირო მიმართულებით ემუშავათ ბავშვებთან.

აღნიშნულია ისიც, რომ სასკოლო სწავლისათვის მზაობის შესაქმნელად და შესამოწმებლად აუცილებელია რეფორმების გატარება სკოლამდელ დაწესებულებებში და დაწყებითი სწავლების ეტაპზე, იქ დასაქმებული მასწავლებლების და აღმზრდელების სპეციალური მომზადება და გადამზადება, ფსიქოლოგების ჩართვა, რასაც სჭირდება დიდი რესურსი, მაგრამ ამ რესურსს ახლა თუ არ გაიღებს სახელმწიფო, შემდეგ ორმაგად მოუწევს ხარჯების გაწევა ბავშვების დამახინჯებული ფსიქიკის გამოსასწორებლად.

როგორც ადრე ანა ფროიდი აღნიშნავდა, ადამიანში არსებული თვითგადარჩენისა და განვითარების ძლიერი ტენდენციების ძალით, ბავშვი, ადრეულ ასაკში, როცა მას წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საშუალება არა აქვს, შეეგუება განვითარების შემაფერხებელ, ცუდ გარემო პირობებს, მაგრამ მისი ზრდა-მომწიფება წავა დიდი დანაკარგებით და შესაძლოა სხვადასხვა სიმძიმის ასოციალური განვითარების გზითაც კი, მაშინ როდესაც კარგ, განვითარების ხელშემწყობ პირობებში, მოხდებოდა მისი პოტენციალის სრული გაშლა და შინაგანი, გამაჯანსაღებელი ტენდენციების ისე გაძლიერება, რომ შემდგომი ასაკობრივი განვითარების მსვლელობაში ადვილად გადალახავდა პროგრესული განვითარების შემაფერხებელ შინაგან და გარეგან დაბრკოლებებს.

თანამედროვე მკვლევრებიც მიუთითებენ, რომ „უამრავი აუცილებელი რამ მოიცდის, ბავშვის გარდა, რადგან სწორედ ამ წამს ყალიბდება მისი ძვლები, მისი სისხლი. მისთვის პასუხი ვერ იქნება „ხვალ“. მისი სახელია „დღეს“ (გაბრიელა მისტრალი).

როგორც ვხედავთ, სასკოლო სწავლის მზაობის შექმნა-შენარჩუნებაში ბავშვისათვის დახმარების გაწევა და მზრუნველობა, ერთობლივად და შეთანხმებულად, ევალება ყველას: მშობლებს, ბაგა-ბაღების აღმზრდელებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, განათლების მეცნიერებს, განათლების სამინისტროს და რაც მთავარია, ქვეყნის მთავრობას, რომელმაც უნდა განახორციელოს სასკოლო სწავლის მზაობის შექმნა-შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებები ბავშვის განვითარების ყველა დონეზე.

*(იბეჭდება შემოკლებით)*

გამოყენებული ლიტერატურა

*1. დ. უზნაძე, ბავშვს ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003;*

*2. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974;*

*3. ლ.ბერკი, ბავშვის განვითარება, ილიას უნ.გამ.თბილისი, 2010;*

*4. ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება, 2007-2009 წლების, www.parlameht.ge/files/1062_16938_216737_123.doc;*

*5. ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012;*

*6. თ. მუსერიძე-ჯავახიშვილი, განათლების ფსიქოლოგიის საკითხები, 2013;*

*7. თ. მუსერიძე-ჯავახიშვილი, ინკლუზიური განათლების ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი, 2016;*

*8. А. Фрейд, З. Фрейд, Психоанализ детских неврозов, С П 1997;*

*9. Ги Лефрансуа, Психология для учителя, 2003;*

*10. И. А. Зимняя, Педагогическая психология, Ростов на Дону, 1997.*

**geopsychology.org**



## სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი



## ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



## პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი



## ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

### კათედრის გეგმის პორტფოლიო



6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი



5.50 ლარი

### ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის



14 ლარი

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



6.50 ლარი

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

ფასი – 9 ლარი



## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40ლ

## ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

## „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი

### ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია



### გავიმეოროთ მათემატიკა

19 ლარი (ერთი ცალი)

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.



ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

7 ლარი



ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

8 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

4 ლარი



თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია საატესტატო გამოცდებისთვის ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა საატესტატო გამოცდებისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ზურია

10 ლარი



თამარ ბერიძე-ბაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

## „ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ერთობლივი აქცია სკოლებისთვის



39.90 ~~49.90~~

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ზოოლოგიურ, ბოტანიკურ, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

## ტესტები ქართულ ლიტერატურაში

### საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის



წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

## ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი